ბიბლიოთეკა

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!



# კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

1920 | გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან | 1978

ოთხშაბათი 28 ივნისი 1978 წ. № 151 (17195) ფასი 2 კაპ.

# „სოიუზ-30" კოსმოსურ ხომალდს პილოტობს საერთაშორისო ეკიპაჟი

## საკდესის ცნობა

1978 წლის 27 ივნისს 18 საათსა და 27 წუთზე მოსკოვის დროით საბჭოთა კავშირში გაუშვეს კოსმოსური ხომალდი „სოიუზ-30".

კოსმოსურ ხომალდს პილოტობს საერთაშორისო ეკიპაჟი: ხომალდის მეთაური ორგზის საბჭოთა კავშირის გმირი სსრ კავშირის კოსმონავტი მფრინავი პეტრე კლიმუკი და მკვლევარი კოსმონავტი პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის მოქალაქე მიროსლავ გერმაშევსკი.

„სოიუზ-30" კოსმოსური ხომალდის გაშვებით გაგრძელდება კოსმოსური სივრცის მშვიდობიანი მიზნით კვლევა, რასაც „ინტერკოსმოსის" თანამშრომლობის პროგრამის შესაბამისად ერთად ახორციელებენ ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკა, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა, კუბის რესპუბლიკა, მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკა, პოლონეთის სახალხო რესპუბლიკა, რუმინეთის სოციალისტური რესპუბლიკა, საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირი, უნგრეთის სახალხო რესპუბლიკა და ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკა.

ამ პროგრამის შესაბამისად 1978 წლის მარტში „სალუტ-6" — „სოიუზ" საბჭოთა სამეცნიერო-საკვლევი კომპლექსის ბორტზე წარმატებით განხორციელდა საერთაშორისო ფრენა ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის მოქალაქის მონაწილეობით. პროგრამის შესრულებაში ახალი წვლილია პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის წარმომადგენლის კოსმოსური სტარტი.

„სოიუზ-30" ხომალდის ფრენით გათვალისწინებულია ხომალდი შეუპირაპირდეს „სალუტ-6" — „სოიუზ-29" ორბიტულ სამეცნიერო კომპლექსს, და მის ბორტზე მოეწყოს ერთობლივი კვლევა და ექსპერიმენტები კოსმონავტებთან კოვალიონოკთან და ივანჩენკოსთან ერთად, რომლებიც კოსმოსში 1978 წლის 15 ივნისიდან მუშაობენ.

ხომალდ „სოიუზ-30"-ის საბორტო სისტემები ნორმალურად მუშაობს, კოსმონავტები თავს კარგად გრძნობენ.

ამხანაგები კლიმუკი და გერმაშევსკი შეუდგნენ ფრენის პროგრამის შესრულებას.

საბჭოთა კოსმოსური ხომალდით საბჭოთა და პოლონელი კოსმონავტების ფრენა, რომელიც პოლონეთის აღორძინების დღის ზეიმობის წინ მიმდინარეობს, კიდევ ერთხელ მოწმობს სსრ კავშირისა და პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის მეგობრობის შემდგომ განვითარებას და მჭიდრო თანამშრომლობას. ამასთანავე, სოციალისტური მეცნიერებისა და ტექნიკის ეს ახალი მიღწევა მკაფიოდ გამოხატავს მთელი სოციალისტური თანამეგობრობის ხალხთა ინტერესებისა და მიზნების ერთიანობას.

# საინფორმაციო ცნობა

## საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის შესახებ

27 ივნისს გაიმართა საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის XI პლენუმი, რომელმაც განიხილა საკითხი „საქართველოს პარტიული ორგანიზაციის თაობაზე სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1976 წლის ივნისის დადგენილების შესრულების მიმდინარეობისა და პარტიულ-პოლიტიკური და იდეურ-აღმზრდელობითი მუშაობის გაუმჯობესების შესახებ".

მოხსენება გააკეთა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ამხ. ე. ა. შევარდნაძემ.

კამათში მონაწილეობდნენ საქართველოს კომპარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი ამხ. თ. ნ. მენთეშაშვილი, რუსთავის მეტალურგიული ქარხნის მეფოლადე, სოციალისტური შრომის გმირი ამხ. ო. ა. ლომიძე, საქართველოს კომპარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი ამხ. ბ. ვ. ადლეიბა, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი ამხ. ე. კ. ხარაძე, საქართველოს კომპარტიის აჭარის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი ამხ. ვ. რ. პაპუნიძე, საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობის თავმჯდომარე ამხ. გ. გ. აბაშიძე, საქართველოს კომპარტიის სამხრეთ ოსეთის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი ამხ. ფ. ს. სანაკოევი, საქართველოს კომპარტიის საგარეჯოს რაიკომის პირველი მდივანი ამხ. მ. ა. მეზვრიშვილი, საქართველოს სსრ განათლების მინისტრი ამხ. ო. დ. ქინქლაძე, სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებული მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის ფილიალის — საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტთან არსებული პარტიის ისტორიის ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი ვ. ნ. მერკვილაძე, მახარაძის რაიონის სოფელ შრომის კოლმეურნეობის თავმჯდომარე, სოციალისტური შრომის გმირი ამხ. მ. ფ. ორაგველიძე, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ხალხთა მეგობრობის მუზეუმის განყოფილების გამგე, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი ამხ. ი. ხ. ბოგომოლოვი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი ამხ. დ. ი. ჩხიკვიშვილი, მარნეულის რაიონის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასკომის სახალხო განათლების განყოფილების გამგე ამხ. ზ. ა. იმანოვა, საქართველოს სსრ კულტურის მინისტრი ამხ. ო. ვ. თაქთაქიშვილი, საქართველოს კომპარტიის ფოთის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი ამხ. ნ. რ. საჯაია, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული სახელმწიფო საინფორმაციო სააგენტოს დირექტორი ამხ. თ. გ. სტეპანოვი, საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ამხ. ჟ. კ. შარტავა, ამიერკავკასიის წითელდროშოვანი სამხედრო ოლქის პოლიტგანყოფილების უფროსი ამხ. მ. თ. ჩერედილოვი, საქართველოს მხატვართა კავშირის გამგეობის თავმჯდომარე ამხ. ნ. შ. ჯანბერიძე.

პლენუმზე საბოლოო სიტყვა წარმოთქვა ამხ. ე. ა. შევარდნაძემ.

განხილულ საკითხზე პლენუმმა მიიღო დადგენილება.

პლენუმის მუშაობაში მონაწილეობდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პასუხისმგებელი მუშაკი ამხ. ვ. ა. კორობეინიკოვი. (საქინფორმი).

## ბიოგრაფიის ფურცლები

### „სოიუზ-30" ხომალდის მეთაური პოლკოვნიკი პეტრე ილიას ძე კლიმუკი

ორგზის საბჭოთა კავშირის გმირი სსრ კავშირის კოსმონავტი მფრინავი პეტრე ილიას ძე კლიმუკი დაიბადა 1942 წლის 10 ივლისს ბრესტის ოლქის სოფელ კომაროვკაში.

პ. ი. კლიმუკი საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის წევრია 1963 წლიდან.

1964 წელს ჩერნიგოვის უმაღლესი სამხედრო საავიაციო სასწავლებლის დამთავრების შემდეგ სამხედრო-საჰაერო ძალებში მსახურობდა.

კოსმონავტთა რაზმში პ. ი. კლიმუკი ჩაირიცხა 1965 წელს, გაიარა „სოიუზ" კოსმოსური ხომალდებითა და „სალუტ" ორბიტული სადგურებით ფრენისათვის მზადების სრული კურსი. თავისი პირველი კოსმოსური ფრენა მან 1973 წლის დეკემბერში შეასრულა „სოიუზ-13" ხომალდის მეთაურად. 1975 წელს როგორც „სოიუზ-18" ხომალდისა და „სალუტ-4" ორბიტული სადგურის მეთაურმა შეასრულა მეორე კოსმოსური ფრენა, რომელმაც 63 დღეს გასტანა.

1977 წელს პ. ი. კლიმუკმა კოსმონავტთა მზადების ცენტრში მუშაობას მოუწყვეტლივ დაამთავრა ი. ა. გაგარინის სახელობის სამხედრო-საავიაციო აკადემია.

პეტრე ილიას ძე კლიმუკი სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის წევრია.

### „სოიუზ-30" ხომალდის მკვლევარი კოსმონავტი მაიორი მიროსლავ გერმაშევსკი

პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის მოქალაქე მაიორი მიროსლავ გერმაშევსკი 1941 წლის 15 დეკემბერს დაიბადა დაბა ლიპნიკში.

1961 წელს იგი შევიდა დემბლინის მფრინავთა სამხედრო საავიაციო სასწავლებელში. სასწავლებლის დამთავრების შემდეგ მიროსლავ გერმაშევსკი მსახურობდა ქვეყნის საჰაერო თავდაცვის ჯარების გამანადგურებელ ავიაციაში.

მაიორი მიროსლავ გერმაშევსკი პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის წევრია 1963 წლიდან.

1969-1971 წლებში იგი სწავლობდა პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის გენერალური შტაბის აკადემიაში, რომლის დამთავრების შემდეგაც სამსახური განაგრძო, გამანადგურებელ ავიაციაში. მაიორი მიროსლავ გერმაშევსკი პირველი კლასის სამხედრო მფრინავია.

პოლონეთის ჯარის რიგებში უზადო სამსახურისათვის იგი დაჯილდოებულია დამსახურების ოქროს ჯვრის ორდენითა და მთელი რიგი მედლებით.

1976 წელს მაიორი მიროსლავ გერმაშევსკი ი. ა. გაგარინის სახელობის კოსმონავტთა მზადების ცენტრში შეუდგა წვრთნას „ინტერკოსმოსის" პროგრამის შესაბამისად პილოტირებული კოსმოსური ფრენისათვის. მან გაიარა სწავლების სრული კურსი „სოიუზ" პილოტირებული კოსმოსური ხომალდისა და „სალუტ" ორბიტული სამეცნიერო სადგურის პროგრამის მიხედვით.

# პერუს უმაღლესი ჯილდოების გადაცემა

26 ივნისს კრემლში სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურ მდივანს, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარეს ლ. ი. ბრეჟნევს, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრს, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს ა. ნ. კოსიგინსა და სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრს, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრს ა. ა. გრომიკოს პერუს საგარეო საქმეთა მინისტრმა ხ. დე ლა პუენტემ პერუს რესპუბლიკის პრეზიდენტის ფრანსისკო მორალეს ბერმუდესის სახელით გადასცა პერუს უმაღლესი ჯილდოები — „პერუს მზის" ორდენის დიდი ჯვრები.

საბჭოთა ხელმძღვანელებს ეს მაღალი ჯილდოები მიენიჭათ საბჭოთა კავშირ-პერუს მეგობრული ურთიერთობის განვითარებაში შეტანილი დიდი წვლილისათვის.

ჯილდოების გადაცემას დაესწრნენ ამხანაგები ე. ვ. კუზნეცოვი, ბ. ნ. პონომარიოვი, კ. უ. ჩერნენკო, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეები, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილეები, სხვა ოფიციალური პირნი, აგრეთვე პერუს ელჩი სსრ კავშირში ხ. ხოსე კალიე ი კალიე.

* * *

ხ. დე ლა პუენტემ და ლ. ი. ბრეჟნევმა სიტყვები წარმოთქვეს.

## ხ. დე ლა პუენტეს სიტყვა

ბატონო ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევ, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარევ, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის გენერალური მდივანო!

ბატონო ალექსი ნიკოლოზის ძე კოსიგინ, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარევ!

ბატონო ანდრია ანდრიას ძე გრომიკო, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრო!

ჩემთვის და ჩემი დელეგაციისათვის დიდი პატივია დღეს ვიყოთ აქ კრემლში, თქვენს გვერდით. პერუს მთავრობისა და ხალხის სახელით მეგობრულად მოგესალმებით თქვენ და თქვენს ხალხს.

ჩვენს ქვეყნებს შორის უკვე თითქმის ათი წელია არსებობს დიპლომატიური ურთიერთობა. ეს ურთიერთობა მომავალში ახალ წარმატებათა მიღწევის ნიმუშია. იყო დიდი, დიადი სახელმწიფო, მეტად ძნელი. არანაკლებ ძნელია დიალოგი დიდ სახელმწიფოსთან. მიგვაჩნია, რომ თქვენი ბრძნული ხელმძღვანელობით თქვენმა მთავრობამ უკანასკნელ წლებში უდიდესი წარმატებები მოიპოვა, ისეთ დონეს მიაღწია, რომელზეც თქვენი ხალხი ოცნებობდა.

თქვენ, ბატონო უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარევ, თქვენს ღრმაშინაარსიან სიტყვებში ჩამოაყალიბეთ საბჭოთა ხალხის მისწრაფებანი, რომლებიც ითვალისწინებენ მტკიცე მშვიდობის, მშვიდობიანი თანაარსებობის მიღწევას, ქვეყნად დაძაბულობის შენელების განმტკიცებას. ეს მისწრაფებები მიზნად ისახავენ დაამკვიდრონ სხვა სახელმწიფოების საშინაო საქმეებში ჩაურევლობის პრინციპები, რომლებიც ესოდენ ახლობელია ჩვენი ხალხისათვის.

ჩვენ დიდი ყურადღებით ვადევნებდით და კვლავაც ვადევნებთ თვალს არა მარტო თქვენს საერთაშორისო მოღვაწეობას, არამედ თქვენს საქმიანობასაც საშინაო პოლიტიკის დარგში. თქვენ ახორციელებთ იმ პრინციპებს, რომელთა მეოხებით თქვენს წყობილებაში, ცხოვრების წესში სულ უფრო მეტად ვლინდება დაახლოება იმ იდეალებისადმი, რომლებსაც საფუძველი ჩაეყარა თქვენი სახელმწიფოს შექმნის დასაწყისში. ამის დამაჯერებელი დადასტურებაა სსრ კავშირის ახალი კონსტიტუციის მიღება. ამ კონსტიტუციას საფუძვლად უდევს პრინციპები, რომლებმაც მსოფლიოს ყველა ხალხის დიდი ყურადღება მიიპყრო.

საერთაშორისო ცხოვრების ფერხულებში ამ ბოლო დროს მოხდა ბევრი მნიშვნელოვანი მოვლენა, რომლებსაც დიდი პოზიტიური მნიშვნელობა აქვთ ჩვენი განვითარებადი ქვეყნისთვისაც. ჩვენ დიდად ვაფასებთ თქვენს მოღვაწეობას, რომელიც ამას ითვალისწინებს.

პერუს მთავრობის, პერუელი ხალხის დავალებით დიდი კმაყოფილებით გადმოგცემთ მადლობის სიტყვებს იმ მეგობრული ურთიერთობისა და თანამშრომლობისათვის, რომლებიც ჩვენს ქვეყნებს შორის დამყარდა სხვადასხვა დარგში.

პერუს რესპუბლიკის ხალხისა და მთავრობის დავალებით წილად მხვდა დიდი პატივი გადმოგცეთ თქვენ, ბატონო ბრეჟნევ, „პერუს მზის" ორდენის ბრილიანტიანი დიდი ჯვარი — პერუს უმაღლესი ჯილდო, რომელიც დამტკიცდა 150 წლის წინათ და რომლითაც ყველაზე გამოჩენილი მოღვაწეები ჯილდოვდებიან.

კმაყოფილებით აღვნიშნავთ, რომ დღეს აქ არიან სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ბატონი კოსიგინი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი ბატონი გრომიკო, რომლებსაც აგრეთვე მიენიჭათ პერუს მაღალი ჯილდოები. „პერუს მზის" ორდენის დიდ ჯვარს მე მათ გადავცემ იმისათვის, რაც მათ გააკეთეს ჩვენი ქვეყნების ურთიერთობის გასავითარებლად.

ნება მიბოძეთ თქვენს მამაც ხალხს ვუსურვო კვლავაც ევლოს არჩეული გზით, ვუსურვო ჩვენი ურთიერთობის შემდგომი განმტკიცება მეგობრობისა და თანამშრომლობის პრინციპებზე. (საკდესი).

* * *

დაჯილდოებულთა სახელით სიტყვა წარმოთქვა ლ. ი. ბრეჟნევმა.



სურათზე: ჯილდოების გადაცემის დროს. საკდეს-საქინფორმის ტელეფოტო.

## ლ. ი. ბრეჟნევის სიტყვა

ალექსი ნიკოლოზის ძე კოსიგინის, ანდრია ანდრიას ძე გრომიკოს სახელით და პირადად, ჩემი, ბატონო მინისტრო, გადასცეთ მეგობარი პერუს პრეზიდენტს ფრანსისკო მორალეს ბერმუდესსა და თქვენი ქვეყნის მთავრობას ჩვენი მადლობა მაღალი ჯილდოებისათვის.

ეს ჯილდოები მოგვაწონდა იმ კეთილი ურთიერთობის კიდევ ერთ დადასტურებად, რომელიც ჩვენს ქვეყნებს შორის შეიქმნა.

ნება მიბოძეთ, გამოვთქვა რწმენა, რომ ეს ურთიერთობა კვლავაც ერთგულად ემსახურება საბჭოთა კავშირისა და პერუს ხალხთა ურთიერთგაგებისა და თანამშრომლობის საქმეს, მშვიდობისა და საერთაშორისო უშიშროების ინტერესებს.

მოხარული ვართ, რომ პერუს ხელმძღვანელობა, თავის მხრივ, მაღალ შეფასებას აძლევს საბჭოთა კავშირ-პერუს ურთიერთობის ახლანდელ მდგომარეობას, მისი განვითარების პერსპექტივებს.

გთხოვთ, ბატონო მინისტრო, საბჭოთა ხელმძღვანელობის სახელით უსურვოთ პრეზიდენტ ფრანსისკო მორალესს დღეგრძელობა და ჯანმრთელობა, წარმატებანი პერუს რესპუბლიკის პოლიტიკური თავისთავადობისა და ეკონომიკური დამოუკიდებლობის განმტკიცების საკეთილდღეო საქმიანობაში, ხოლო პერუელ ხალხს — კეთილდღეობა და აყვავება.

* * *

ხ. დე ლა პუენტეს და ლ. ი. ბრეჟნევის სიტყვებს ხანგრძლივი ტაშით შეხვდნენ.

დარბაზში შეკრებილმა ამხანაგებმა გულითადად მიულოცეს ლ. ი. ბრეჟნევს, ა. ნ. კოსიგინსა და ა. ა. გრომიკოს პერუს რესპუბლიკის უმაღლესი ჯილდოების მიღება, უსურვეს მათ შემდგომი წარმატებანი საბჭოთა კავშირ-პერუს ურთიერთობის განვითარების საკეთილდღეოდ, მთელ მსოფლიოში მშვიდობის განსამტკიცებლად. (საკდესი).

## 27 ივნისი

# „პრავდის" ფურცლებზე

მდიდარია ჩვენი სამშობლოს წიაღი. ქვანახშირის, შავი და ფერადი ლითონების მადნების, ბუნებრივი გაზის, ქიმიური მრეწველობის, მშენებლობისა და სხვა დარგებისათვის ნედლეულის დაზვერილი მარაგის რაოდენობით მას წამყვანი ადგილი უკავია მსოფლიოში. სასარგებლო წიაღისეული ქვეყნის ახალი საწარმოო კომპლექსების ნედლეულის ბაზაა, აღნიშნულია მოწინავე წერილში — „დავზოგოთ ნედლეული".

ბუნებრივი რესურსებისადმი მომჭირნე, ყაირათიანი დამოკიდებულება ჩვენი სოციალისტური ეკონომიკის შემდგომი განმტკიცების, მეათე ხუთწლედის დავალებათა წარმატებით შესრულების საწინდარია. ნათქვამია დასასრულ მოწინავეში.

მომხმარებელთა შეკვეთების ზუსტი შესრულებისათვის საწარმოთა სოციალისტურ შეჯიბრებაში არის ეგრეთ წოდებული „თბილისური ვარიანტი". ეს არის მოძრაობა, რომლის ინიციატივა ამ რამდენიმე წლის წინათ გამოიჩინა აჭარის ფოლად-თუჯსამსხმელო ქარხნის კოლექტივმა. ჩამომსხმელთა შეჯიბრება მიზნად ისახავს საუკეთესო პირობების შექმნას იმისათვის, რათა ყველა მომიჯნავემ, რომლებიც ამ ქარხანას ასზე მეტი ჰყავს, შეასრულოს გეგმები და ვალდებულებები. ამაზე მოგვითხრობს გ. ლებანიძის წერილი — „სიმტკიცის მარაგით", რომელიც გამოქვეყნებულია რუბრიკით — „შეჯიბრებამ შვა".

„პოლიტიზდატმა" გამოსცა — „სკკპ XXV ყრილობა: თეორიისა და პრაქტიკის ერთიანობა", გამოშვება 3. ამის გამო გაზეთის ფურცლებზე გამოქვეყნებულია სარედაქციო წერილი — „დიადი მიზნებისაკენ".

მასწავლებელმა ყველაფერი უნდა ახსნას. სკოლის დირექტორმა ი. გ. უბორცევმა კოლექტივის წარმატებები მოკლედ განმარტა: „მუშაობა ძალას გვმატებს, როცა საქმე კარგად მიდის. ჩვენ ამას ბავშვებს ვუნერგავთ. და ეტყობა, თვითონაც დავრწმუნდით". თუმცა წარმატებებზე მან ფრთხილად ილაპარაკა. კიროვის მესამე საშუალო სკოლა აშკარად შეაცბუნა გაზეთის ყურადღებამ. რატომ დაგვდეს ასეთი პატივი? თითქოს ახალი არაფერი არ აღმოუჩენიათ მეთოდიკაში, არავითარი ბრწყინვალი პედაგოგიური იდეა არ წამოუყენებიათ. შენობაც საჩოქრად არ მიუღიათ: მინაშენებით იზრდებოდნენ. ერთი სიტყვით, ჩვეულებრივი სკოლაა. ვფიქრობთ, მით უფრო საინტერესოა გავეცნოთ მასწავლებელთა ამ კოლექტივს, მის ყოველდღიურ საქმეებს, სიხარულსა და წუხილს, მის, ხშირად ჩვენს თვალთაგან დაფარულ, კეთილშობილურ საქმეს.

სკოლის ღობესთან ხარობს არყი და ნაძვი, აკაცია და ცირცელი, ჭადარი და ნეკერჩხალი. ზოგან ის, ზოგან ეს. დიდია ჩვენი ქვეყანა. მაგრამ ყველგან ერთნაირად იზრდება ადამიანი. გახდება ის ექიმი თუ მეფოლადე, მექანიზატორი თუ მშენებელი, სკოლა მაინც ის ხელია, რომელიც მას დამოუკიდებელი ცხოვრების გზაზე აყენებს. ჩვენ ყველაფერს მას უნდა ვუმადლოდეთ. და მაშასადამე მასწავლებელს. ამაზე მოგვითხრობს კორესპონდენტი ვ. ბელოუსოვი წერილში — „სკოლის თბილი ხელი", რომელიც გამოქვეყნებულია რუბრიკით — „მასწავლებელთა საკავშირო ყრილობის შეხვედრად".

მეექვსე გვერდზე დიდი ადგილი აქვს დათმობილი განყოფილებას — „ხელოვნების სამყაროში".

ПРАВДА

# საქართველოს სსრ მეცხრე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მეცხრე სესიის გახსნის შესახებ



საქართველოს სსრ მეცხრე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მეცხრე სესია გაიხსნება დღეს, 28 ივნისს დილის 10 საათზე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სხდომათა დარბაზში.

## საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს უხუცესთა საბჭოს სხდომის შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს უხუცესთა საბჭოს სხდომა გაიმართება დღეს, 28 ივნისს, დილის 9 საათსა და 30 წუთზე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სხდომათა დარბაზში.

# ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭოს სესიაზე

26 ივნისს მოსკოვიდან ბუქარესტს გაემგზავრა საბჭოთა დელეგაცია სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ა. ნ. კოსიგინის მეთაურობით. იგი მონაწილეობას მიიღებს ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭოს სესიის XXXII სხდომაში.

დელეგაციის შემადგენლობაში არიან სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეები ნ. კ. ბაიბაკოვი, კ. თ. მაზუროვი, ვ. ა. კირილინი, ბელორუსიის სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ტ. ი. კისელიოვი, სსრ კავშირის მინისტრები ვ. თ. გარბუზოვი, ნ. ს. პატოლიჩევი, პ. ს. ნეპოროჟნი, ვ. ვ. კროტოვი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის პირველი მოადგილე გ. მ. მალცევი, ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭოში სსრ კავშირის მუდმივი წარმომადგენლის პირველი მოადგილე გ. ნ. ტიტოვი.

აეროდრომზე დელეგაცია გააცილეს ამხანაგებმა ა. პ. კირილენკომ, კ. ვ. რუსაკოვმა, სხვა ოფიციალურმა პირებმა.

დელეგაციას, რომელსაც ა. ნ. კოსიგინი მეთაურობს, ბუქარესტში დახვდნენ რუმინეთის სოციალისტური რესპუბლიკის მთავრობის პრემიერ-მინისტრი მ. მენესკუ, სხვა ოფიციალური პირნი.

დამხვდურთა შორის იყო სსრ კავშირის ელჩი რუმინეთის სოციალისტურ რესპუბლიკაში ვ. ი. დროზდენკო. (საკდესი).

# უმაღლეს სასწავლებლებში — ყველაზე ღირსეულნი

## თათბირი საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში

**სკოლებში** უკანასკნელი ზარი აწკრიალდა. ბევრი მოსწავლე უკვე გაემგზავრა პიონერთა ბანაკებსა და დასასვენებელ სახლებში, ბევრ მათგანს დაეწყო მეხუთე, შრომითი მეოთხედი — ისინი მუშაობენ საკოლმეურნეო მინდვრებსა და ფერმებში, ფაბრიკა-ქარხნებში. ხოლო კურსდამთავრებულებს, რომლებმაც უმაღლეს სასწავლებლებში შესვლა გადაწყვიტეს, ეწყებათ პასუხსაგები პერიოდი — ახლოვდება მისაღები გამოცდები.

ტრადიციისამებრ, უმაღლესი სკოლის ცხოვრებაში ამ პასუხსაგები მომენტის წინ, საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში გაიმართა თათბირი, რომელშიც მონაწილეობდნენ ხელმძღვანელი პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული, კომკავშირული მუშაკები, უმაღლესი სასწავლებლების რექტორები [illegible]

და სხვებმა. მათ ილაპარაკეს იმ დიდ მუშაობაზე, რომელიც ახლა მიმდინარეობს საქართველოს ყველა უმაღლეს სასწავლებელში, რათა ღირსეულად მოემზადონ ახალი კონტინგენტის მისაღებად. თითქმის ყველა უმაღლეს სასწავლებელთან შექმნილია მისაღები გამოცდებისათვის მოსამზადებელი სამეურნეოანგარიშიანი კურსები, ხოლო მთელ რიგ უმაღლეს სასწავლებლებში აბიტურიენტებისათვის ეწყობოდა უფასო მეცადინეობა და კონსულტაციები.

მტკიცედ დამკვიდრდა უმაღლეს სასწავლებლებში „ღია კარის დღეების“ მოწყობის ტრადიცია, რომელთა დროს მომავალი სტუდენტები ეცნობიან არჩეულ სპეციალობას, იღებენ პროფორიენტაციის კარგ გაკვეთილს, ესწრებიან ლაბორატორიულ მეცადინეობებს, ათვალიერებენ კაბინეტებსა და აუდიტორიებს. [illegible]

ნებისა და მაგალითების კრებული, აგრეთვე ლიტერატურული თემები, რომლებიც შეიძლება შესთავაზონ აბიტურიენტებს მისაღებ გამოცდებზე.

დროულადაა განსაზღვრული საგნობრივი საგამოცდო კომისიების შემადგენლობა, დამტკიცებული არიან მათი თავმჯდომარეები. ბევრ უმაღლეს სასწავლებლებში კომისიების შემადგენლობაში უკანასკნელ წლებში შეჰყავთ საშუალო სკოლების პედაგოგები. ეს პრაქტიკა წელსაც გაგრძელდება. მაგრამ თათბირზე აღინიშნა, რომ პედაგოგთა ნაწილმა დადებითად ვერ გამოიჩინა თავი, ზოგიერთს აკლდა კვალიფიკაცია, ცოდნა და გამოცდილება. წელს მოწვეულ მასწავლებელს რეკომენდაციას მისცემენ პარტიის საქალაქო და რაიონული კომიტეტები. საგამოცდო კომისიების შემადგენლობაში შეიყვანენ რესპუბლი- [illegible]

სკოლის ცხოვრებაში მომხდარი პოზიტიური ძვრების საწინდარს. აბიტურიენტებს, მათ მშობლებს უკვე მტკიცედ სწამთ, რომ კარგად მომზადებული აბიტურიენტი უთუოდ გახდება სტუდენტი.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებაში „პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის ორგანიზატორული და პოლიტიკური მუშაობის თაობაზე სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილების შესასრულებლად საქართველოს პარტიული ორგანიზაციის საქმიანობის შესახებ“ მოცემულია იმ დიდი მუშაობის მაღალი შეფასება, რომელიც საქართველოს კომპარტიის ხელმძღვანელობით განახორციელეს რესპუბლიკის უმაღლესი სასწავლებლების კოლექტივებმა, უმაღლესი განათლების მთელმა სისტემამ. „თანდათან აღმოიფხვრება უმაღლეს სასწავლებლებსა და ტექნიკუმებში მიღების საქმეში არსებული სერიოზული ნაკლოვანებები. შესამჩნევად უმჯობესდება სტუდენტთა შემადგენლობა, რომელთა შორის თითქმის ერთიორად გაიზარდა მუშათა და კოლმეურნეთა რიცხვი, გადიდდა იმ ქალიშვილებისა და ვაჟებების ხვედრითი წონა, რომლებიც სასწავლებლად წარმოებიდან და საბჭოთა არმიის რიგებიდან მოვიდნენ. უფრო მეტი ყურადღება ეთმობა სტუდენტთა და მოსწავლეთა პროფესიული მომზადებისა და აღზრდის ხარისხის გაუმჯობესებას“, — ნათქვამია დადგენილებაში.

მიღწევები მართლაც გვაქვს. და ამ მიღწევების ძირითადი მაჩვენებელი გახდა სტუდენტთა მაღალი აკადემიური წარმატება, უმაღლესი სასწავლებლის მეცნიერების ზრდა, სტუდენტი ახალგაზრდობის აქტიური მონაწილეობა მესამე, შრომით სემესტრში, საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში.

მაგრამ ეს სრულიადაც არ ნიშნავს, თითქოს უკვე ყველაფერი გაკეთებულიყოს იმისათვის, რათა მომავალში მთლიანად გამოირიცხოს სამართალდარღვევებისა და შეცდომების შესაძლებლობა. შარშანდელი საგამოცდო კამპანიის დროს ცალკეული დარღვევები კიდევ ერთხელ გვარწმუნებს, რომ არც ერთი წუთით არ უნდა შევანელოთ სიფხიზლე, უმაღლეს სასწავლებლებში მიღების წესებისაგან ყოველგვარი გადახვევის წინააღმდეგ ბრძოლა.

წარსულში არსებული ფაქტები გვაფიქრებინებს, დაბეჯითებით მოითხოვს, რომ კიდევ უფრო დაიხვეწოს მათ წინააღმდეგ ბრძოლის ფორმები და მეთოდები. ამასთანავე, აღინიშნა თათბირზე, ყველგან უნდა განვაზოგადოთ უმაღლესი სასწავლებლების კოლექტივებში მორალურ-ფსიქოლოგიური კლიმატის გაჯანსაღების უკვე შეძენილი დადებითი გამოცდილება, განვამტკიცოთ და განვავითაროთ უმაღლესი სკოლის მიერ მიღწეული წარმატებანი.

ქვეყნის სახალხო მეურნეობისათვის მაღალი კვალიფიკაციის სპეციალისტთა მომზადება საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტს მიაჩნია დიდი პოლიტიკური და სოციალური მნიშვნელობის საკითხად. მასზე ბევრად არის დამოკიდებული როგორ ამაღლდება ჩვენი რესპუბლიკის ეკონომიკური პოტენციალი, როგორ წარმატებებს მიაღწევს იგი მეცნიერებისა და ტექნიკის დარგში, რა წვლილს შეიტანს ჩვენი ქვეყნის საერთო მიღწევებში.

თათბირზე განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო სტუდენტთა იდეური წრთობის, მომავალ სპეციალისტებში მაღალი მოქალაქეობრიობის, ღრმა რწმენის, პატრიოტიზმისა და ინტერნაციონალიზმის, საბჭოთა მეცნიერების წინსვლის მისწრაფების ჩანერგვის საკითხს.

თათბირმა საგანგებო ყურადღება დაუთმო იმას, რომ საჭიროა გაძლიერდეს ბრძოლა რეპეტიტორობის წინააღმდეგ.

ორატორებმა დიდი კმაყოფილებით აღნიშნეს, რომ აფხაზეთიდან, აჭარიდან, სამხრეთ ოსეთიდან და რესპუბლიკის მაღალმთიანი რაიონებიდან ჩამოსულ აბიტურიენტებს შეღავათები მიეცემათ. ამასთანავე, უმაღლეს სასწავლებლებში გასაგზავნი ახალგაზრდობის შერჩევას ადგილობრივი პარტიული და სხვა ორგანოები მთელი პასუხისმგებლობითა და პრინციპულობით უნდა მოეკიდონ.

თათბირზე ითქვა, რომ საჭიროა აბიტურიენტებს შეუქმნან გამოცდების ჩაბარებისათვის ხელშემწყობი პირობები. ზუსტად უნდა იმუშაოს საცნობარო სამსახურმა. მისაღები გამოცდების კულტურა უნდა შეესაბამებოდეს თანამედროვე მოთხოვნათა დონეს.

თათბირის მონაწილეებმა ხაზგასმით აღინიშნეს, რომ საჭიროა ზუსტად იქნეს დაცული უმაღლეს სასწავლებლებში მიღების წესები, რათა სტუდენტები გახდნენ ყველაზე ღირსეული, ყველაზე მომზადებული აბიტურიენტები.

თათბირის მუშაობაში მონაწილეობდნენ საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ჟ. შარტავა, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის განყოფილებათა გამგეები ე. ხიხნაშვილი და ა. ალექსიძე. (საქინფორმი).

# აკადემიკოსი მსტისლავ ვსევოლოდის ძე კელდიში

ეროვნული ბიბლიოთეკა



საბჭოთა მეცნიერებამ უმძიმესი დანაკლისი განიცადა — 1978 წლის 24 ივნისს 67 წლისა მოულოდნელად გარდაიცვალა თანამედროვეობის გამოჩენილი მეცნიერი, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმის წევრი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული მეცნიერებისა და ტექნიკის დარგის ლენინური და სსრ კავშირის სახელმწიფო პრემიების კომიტეტის თავმჯდომარე, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, სამგზის სოციალისტური შრომის გმირი, აკადემიკოსი **მსტისლავ ვსევოლოდის ძე კელდიში.**

მ. ვ. კელდიშის სახელთან დაკავშირებულია საბჭოური და მსოფლიო მეცნიერებისა და ტექნიკის ეპოქალური მიღწევები, ახალი მეცნიერული მიმართულებების ჩამოყალიბება, უდიდესი მაორგანიზებელი როლი კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის მიერ დასახული უმნიშვნელოვანესი ამოცანების გადაწყვეტაში.

მ. ვ. კელდიში დაიბადა 1911 წელს ქალაქ რიგაში. 1931 წელს მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტის დამთავრების შემდეგ მუშაობდა ნ. ე. ჟუკოვსკის სახელობის ცენტრალური აეროდინამიკის ინსტიტუტში, სადაც შესრულა მთელი რიგი უთვალსაჩინოესი გამოკვლევები მათემატიკის, მექანიკისა და აეროჰიდროდინამიკის დარგში. ამ ნაშრომებში კიდევ უფრო განვითარდა შესანიშნავი რუსი მათემატიკოსებისა და მექანიკოსების პ. ლ. ჩებიშევის, ნ. ე. ჟუკოვსკის, ს. ა. ჩაპლიგინის ტრადიციები, რომლებშიც ფუნდამენტური კვლევა ერწყმოდა კონკრეტული გამოყენებითი ამოცანების გადაწყვეტას. ბრწყინვალე მათემატიკური კვლევის კომპლექსში მ. ვ. კელდიშმა გადაწყვიტა რთული ამოცანები ნამდვილი და კომპლექსური ცვლადების ფუნქციათა თეორიის, კერძო წარმოებულებიან განტოლებათა, ფუნქციური ანალიზის, ჰარმონიულ ფუნქციათა თეორიის გამოყენების დარგში. აეროჰიდროდინამიკის დარგში მან მიიღო ფუნდამენტური შედეგები ფრთის არამდგრად მოძრაობათა თეორიაში, სითხის ზედაპირის ქვეშ სხეულთა მოძრაობის თეორიასა და კუმშვადი სითხით სხეულთა გარსდენის თეორიის დარგში, განაზოგადა ნ. ე. ჟუკოვსკის ცნობილი თეორემა ამწევი ძალის შესახებ. საბჭოთა მეცნიერება დიდად უნდა უმადლოდეს მ. ვ. კელდიშს, რომ ჩვენს მათემატიკურ და აეროდინამიკურ სკოლებს წამყვანი ადგილი უკავიათ მსოფლიო მეცნიერებაში. დიდი როლი შეასრულეს საავიაციო კონსტრუქციების (ფლატერი და შიმი) რხევისა და ავტორხევისადმი მიძღვნილმა მ. ვ. კელდიშის ნაშრომებმა, რომლებმაც განსაკუთრებული წვლილი შეიტანეს დიდი სამამულო ომის პერიოდში ახალი ტექნიკის შექმნაში.

მ. ვ. კელდიშს ეკუთვნის ფუძემდებელი როლი ომისშემდგომ წლებში თანამედროვეობის ფუნდამენტური სამეცნიერო მიმართულებების — გამოთვლითი მათემატიკის, ბირთვული ენერგეტიკის, კოსმოსური კვლევის თანამედროვე მიმართულებების შექმნაში. გამოთვლითმა ტექნიკამ, რომელიც კლასიკური მათემატიკისა და ახალი გამოსათვლელი საშუალებების ბაზაზე ახალი ტექნიკის ამოცანებმა შვა, განუზომლად გააფართოვა მეცნიერული კვლევის შესაძლებლობანი და ეფექტიანობა, მკვეთრად გაზარდა მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის ტემპი. მ. ვ. კელდიში აქტიურად მონაწილეობდა ამ ტიტანურ შრომაში როგორც ბევრი იდეისა და გამოთვლითი მეთოდების ავტორი და მეცნიერთა დიდი კოლექტივის ხელმძღვანელი. ეფექტიანი მათემატიკური მეთოდების საფუძველზე მან შეისწავლა ბევრი პრინციპულად დიდმნიშვნელოვანი პრობლემა, რომლებიც ბირთვული ენერგიის გამოყენებას უკავშირდება.

მ. ვ. კელდიშმა თვალსაჩინო წვლილი შეიტანა საბჭოთა კოსმოსური მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარებაში. იგი იყო იმის ერთ-ერთი ინიციატორი, რომ ჩვენს ქვეყანაში ფართოდ გაშლილიყო კოსმოსის შესწავლისა და ათვისების სამუშაოები და სათავეში ჩაუდგა მათი განხორციელების გადამწყვეტ უბანს. სიცოცხლის უკანასკნელ დღეებამდე იგი ამ სამუშაოებს ხელმძღვანელობდა. კოსმოსური სივრცის შესწავლაში ახალი ჰორიზონტების გამოვლენა, კომპლექსური მეცნიერულ-ტექნიკური პროგრამების ჩამოყალიბება, ფრენის დინამიკისა და მართვის საკითხები, კვლევის მეცნიერული და გამოყენებითი შედეგები მუდამ იყო მისი ყოველდღიური საქმიანობის შინაარსი.

მ. ვ. კელდიში მეცნიერების უდიდესი ორგანიზატორია. მეთაურობდა რა 1961 წლიდან 1975 წლების ჩათვლით სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიას, მან უთვალსაჩინოესი წვლილი შეიტანა საბჭოთა მეცნიერების განვითარებაში.

სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიამ მისი ხელმძღვანელობით უდიდესი მუშაობა გასწია სკკპ XXII, XXIII და XXIV ყრილობების გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის მეცნიერებისა და მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დარგში, კომუნისტური მშენებლობის პრაქტიკაში მეცნიერების მიღწევების გამოყენებისათვის. ამ პერიოდში შეიქმნა და განვითარდა აკადემიის ახალი დიდი სამეცნიერო ცენტრები, მნიშვნელოვნად გაიზარდა სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებების ქსელი, გაფართოვდა მათი გეოგრაფია, გაღრმავდა სპეციალიზაცია და გაძლიერდა მათი საქმიანობის კოორდინაცია. სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემია საბჭოთა მეცნიერების მძლავრი აქტიური ბირთვი გახდა. მ. ვ. კელდიშის მთელი ორგანიზატორული საქმიანობისათვის მუდამ იყო დამახასიათებელი მეცნიერული კვლევის სტრატეგიის, ფუნდამენტურ და გამოყენებით მიმართულებებს შორის თანაფარდობის სწორი განსაზღვრა. მ. ვ. კელდიშმა ბევრი რამ გააკეთა საერთაშორისო მეცნიერული თანამშრომლობის ორგანიზაციისათვის, სოციალისტური ქვეყნების მეცნიერთა მეცადინეობის კოორდინაციისათვის.

აკადემიკოს მ. ვ. კელდიშის დამსახურება საბჭოთა და მსოფლიო მეცნიერების წინაშე დიდად დააფასეს კომუნისტურმა პარტიამ და საბჭოთა სახელმწიფომ. იგი სამგზის სოციალისტური შრომის გმირი, ლენინური და სახელმწიფო პრემიების ლაურეატია. დაჯილდოებულია საბჭოთა კავშირისა და სოციალისტური ქვეყნების ბევრი ორდენითა და მედლით. მ. ვ. კელდიში არჩეული იყო ბევრი უცხოური აკადემიის წევრად, მსოფლიოს მთელი რიგი უნივერსიტეტების საპატიო დოქტორად. იგი იყო სკკპ ცენტრალური კომიტეტის წევრი, სსრ კავშირის მრავალი მოწვევის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი.

კომუნისტი მეცნიერის ფართო გონებრივმა ჰორიზონტმა, ღრმა იდეურობამ, სახელმწიფოებრივმა მიდგომამ წამოჭრილი პრობლემების გადაწყვეტისადმი, პრინციპულობამ და სამშობლოსა და პარტიის საქმისადმი ერთგულებამ მ. ვ. კელდიშს დამსახურებული პატივისცემა და ავტორიტეტი მოუხვეჭა. გამოჩენილი კომუნისტი მეცნიერის სახელი, რომელმაც მთელი თავისი ძალ-ღონე და ნიჭი მეცნიერების თავდადებულ სამსახურს, პროგრესს, ხალხს მოახმარა, სამუდამოდ დარჩება საბჭოთა ადამიანების გულში.

ლ. ი. ბრეჟნევი, ი. ვ. ანდროპოვი, ვ. ვ. გრიშინი, ა. ა. გრომიკო, ა. პ. კირილენკო, ა. ნ. კოსიგინი, თ. დ. კულაკოვი, დ. ა. კუნაევი, კ. ტ. მაზუროვი, ა. ი. პელშე, გ. ვ. რომანოვი, მ. ა. სუსლოვი, დ. თ. უსტინოვი, ვ. ვ. შჩერბიცკი, გ. ა. ალიევი, პ. ნ. დემიჩევი, ვ. ვ. კუზნეცოვი, პ. მ. მაშეროვი, ბ. ნ პონომარიოვი, შ. რ. რაშიდოვი, მ. ს. სოლომენცევი, კ. უ. ჩერნენკო, ი. ვ. კაპიტონოვი, ვ. ი. დოლგიხი, მ. ვ. ზიმიანინი, ი. პ. რიაბოვი, კ. ვ. რუსაკოვი, ვ. ა. კირილინი, ლ. ვ. სმირნოვი, ა. პ. ალექსანდროვი, ს. პ. ტრაპეზნიკოვი, ვ. ა. კოტელნიკოვი, ა. ა. ლოგუნოვი, ე. პ. ველიხოვი, ი. ა. ოვჩინიკოვი, ა. ვ. სიდორენკო, პ. ნ. ფედოსეევი, გ. ი. მარჩუკი, გ. კ. სკრიაბინი, ნ. ნ. ბოგოლიუბოვი, ა. მ. პროხოროვი, მ. ა. მარკოვი, ბ. ნ. პეტროვი, ვ. ა. ამბარცუმიანი, ნ. გ. ბასოვი, პ. ლ. კაპიცა, მ. ა. ლავრენტიევი, ბ. ე.პატონი, ა. ნ. ნესმეიანოვი, ნ. ა. პილიუგინი, ა. ს. სადიკოვი, ი. მ. ვინოგრადოვი, ვ. პ. გლუშკო, ვ. ნ. ჩელომეი, ი. ბ. ხარიტონი, ი. ბ. ზელდოვიჩი, ა. ნ. ტიხონოვი, რ. ზ. საგდეევი, ა. ი. იშლინსკი, ნ. ნ. სემიონოვი, ლ. ი. სედოვი, კ. ნ. რუდნევი, ე. პ. სლავსკი, ა. ი. შოკინი, ვ. პ. ელიუტინი, ს. გ. შჩერბაკოვი, ნ. ნ. ბლოხინი, ბ. ვ. პეტროვსკი, ს. ა. ზვერევი, მ. ს. სმირტიუკოვი, ვ. ნ. მაკეევი, ვ. ა. შატალოვი, ი. დ. სერბინი, ს. ა. აფანასიევი, ა. ა. დოროდნიცინი, ნ. ს. არჟანიკოვი.

## საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოში

# მტკიცედ დავიცვათ მიწის კანონმდებლობა

**საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ განიხილა საკითხი საქართველოს სსრ საშენ მასალათა მრეწველობის სამინისტროს დარკვეთის საშენ მასალათა საწარმოო გაერთიანების მიერ კვარცის ქვიშის მოპოვებისას მიწის კანონმდებლობის უხეში დარღვევის ფაქტების შესახებ.**

დადგენილებაში აღნიშნულია, რომ მიუხედავად მთავრობის არაერთი დადგენილებისა, საქართველოს სსრ საშენ მასალათა მრეწველობის სამინისტრო შეუწყნარებლად აჭიანურებს კარიერებისათვის გამოყოფილ მიწებზე გამომუშავების შემდეგ რეკულტივაციას და ამ მიწების დაბრუნებას ყოფილი მიწათმოსარგებლეებისათვის. მაგალითად, სამინისტროს ჯერ არ ჩაუტარებია რეკულტივაცია და არ დაუბრუნებია თერჯოლის რაიონის სოფელ ბარდუბნის კოლმეურნეობისათვის 22 ჰექტარი, კასპის რაიონის თეძამის მეხილეობის საბჭოთა მეურნეობისათვის — 24,5 ჰექტარი, სამტრედიის რაიონის სოფელ შელაურის კოლმეურნეობისათვის — 7 ჰექტარი და ა. შ. რაც ზიანს აყენებს რესპუბლიკის სოფლის მეურნეობას.

დარკვეთის კვარცის ქვიშის კარიერის საჭიროებისათვის 1976 წელს დამატებით ოთხი ჰექტარი მიწის გამოყოფის მიუხედავად, საქართველოს სსრ საშენ მასალათა მრეწველობის სამინისტროს დარკვეთის საშენ მასალათა გაერთიანებამ კვლავ უხეშად დაარღვია მიწათსარგებლობის წესები და თვითნებურად დაიკავა სოფელ ზოდის კოლმეურნეობის 5,5 ჰექტარი საზოგადოებრივი მიწა, მაშინ როცა 1966 წელს გამოყოფილი და უკვე გამომუშავებული 9 ჰექტარიდან არც ერთი ჰექტარი არ დაუბრუნებია კოლმეურნეობისათვის.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ მკაცრად გააფრთხილა საქართველოს სსრ საშენ მასალათა მრეწველობის მინისტრი ამხ. ო. ლოლაშვილი და მინისტრის პირველი მოადგილე ამხ. ა. ვარდოშვილი, რომლებმაც არ შეასრულეს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილება წიაღისეულის ღია წესით მოპოვებისათვის გამოყოფილ მიწებზე რეკულტივაციისა და მიწათმოსარგებლეთათვის მათი დაბრუნების შესახებ, და დაავალა მათ განახორციელონ კონკრეტული ღონისძიებები მომავალში ანალოგიური დარღვევების თავიდან ასაცილებლად.

საქართველოს სსრ საშენ მასალათა მრეწველობის სამინისტროს დაევალა მიიღოს ზომები, რათა აღადგინოს და სოფლის მეურნეობაში გამოსაყენებლად დაუბრუნოს მიწათმოსარგებლე მეურნეობებს რეკულტივირებული მიწები.

საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ბუნების დაცვის სახელმწიფო კომიტეტს დაევალათ სისტემატური კონტროლი დააწესონ საქართველოს სსრ საშენ მასალათა მრეწველობის სამინისტროს გამომუშავებული კარიერების რეკულტივაციის მიმდინარეობისა და მიწათმოსარგებლეთათვის მათი დაბრუნებისადმი, მიწის კანონმდებლობის სწორად და განუხრელად განხორციელებისადმი.

ჭიათურის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომს დაევალა მომავალში არ დაუშვას სასარგებლო წიაღისეულის მოპოვება, თუ ეს ნაკვეთები გამოყოფილი არ იქნება საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებით, არ დაუშვას ახალი ფართობების გამოყოფა, თუ წინათ გამოყოფილი მიწები რეკულტივირებული და დაბრუნებული არ არის. (საქინფორმი).

## საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სესიის შესახვედრად

# ბაგა-ბაღების სიკეთე

**1935 წელს** გამართულ ახალგაზრდა ქალთა საკავშირო თათბირზე ნადეჟდა კონსტანტინეს ასულმა კრუპსკაიამ აღნიშნა: **საბჭოთა ქალები გახდნენ თავისუფალი და თანასწორუფლებიანი. ეს სკოლამდელი დაწესებულებების დიდი დამსახურებაა.**

თანამედროვე ეტაპზე სახალხო განათლების სისტემაში დიდია სკოლამდელი აღზრდის პოტენციალი. სკკპ XXV ყრილობამ დიდი ამოცანები დაუსახა ზოგადსაგანმანათლებლო სკოლას. წინა პლანზეა წამოწეული ბავშვის დამოუკიდებელი აზროვნების, სასწავლო პროცესის გააქტიურების, სწავლების ეფექტიანობის პრობლემა. **და ეს გვაყენებს აუცილებლობის წინაშე — ყველა ბავშვი საბავშვო ბაღიდან მოდიოდეს სკოლაში.** ცნობილია, რომ საბავშვო ბაღიდან მისული ბავშვები ოჯახიდან ანუ არაორგანიზებული გარემოდან მისული ბავშვებისაგან საგრძნობლად განსხვავდებიან როგორც ინტელექტუალური თვალსაზრისით, ისე გარემოსთან ადვილად შეგუების მხრივ. მათ აქვთ ცოდნის საკმაო მარაგი, თანატოლებთან და კოლექტივთან თავდაჭერის, გარემოში სწრაფი ორიენტირების უნარი და სხვა. ეს სკოლამდელ დაწესებულებათა მუშაობის ერთი მხარეა, მეორე მხრივ, მათ დიდი სოციალური ფუნქცია ეკისრებათ — სამსახურს უწევენ ქალს — დედას, საწარმოო, სასოფლო-სამეურნეო, სახელმწიფოებრივ, კულტურულ-სამეცნიერო, საზოგადოებრივ-პოლიტიკურ საქმიანობაში აქტიური მონაწილეობისათვის.

რამდენი სკოლამდელი დაწესებულება იყო რევოლუციამდელ საქართველოში? მხოლოდ კერძო პირთა ინიციატივით გახსნილი ორიოდე საბავშვო ბაღი, რომლებიც მშობლების ხარჯზე არსებობდა და უსახსრობის გამო მალე იხურებოდა.

დღეს ჩვენს რესპუბლიკაში სახელმწიფო ბიუჯეტზეა 4719 სკოლამდელი დაწესებულება — ათასობით ბავშვი, 1921 წელთან შედარებით სკოლამდელ დაწესებულებათა ქსელი 324-ჯერ გაიზარდა. რესპუბლიკაში არ მოიპოვება ქალაქი ან რაიონული ცენტრი, სადაც ტიპობრივი პროექტით აგებული კეთილმოწყობილი შენობა არ იყოს.

ეს მონაპოვარი არა მარტო ამ დაწესებულებათა ქსელის ზრდის მაჩვენებლებით აისახება, არამედ **მათი მუშაობის ფორმების, მეთოდებისა** და შინაარსის სრულყოფითაც. ახლა სკოლამდელი დაწესებულებები მუშაობას წარმართავენ საბჭოთა პედაგოგიკისა და ფსიქოლოგიის დარგში მოპოვებული კვლევის საფუძველზე აგებული „აღზრდის პროგრამის“ მიხედვით, რომელშიც მეცნიერულად არის ასახული და გაანალიზებული ადრეული ასაკიდან ბავშვის სკოლაში წასვლამდე აღზრდისა და სწავლის ეფექტიანი გზები და მეთოდები.

მთავრობისა და პარტიის დიდი ყურადღების შედეგია, რომ ამ ორ ათწლეულში, **მსოფლიოში პირველად, საბჭოეთში ჩამოყალიბდა ახალი, ერთიანი ტიპის სკოლამდელი დაწესებულება — ბაგა-ბაღი, რომელმაც დაადასტურა თავისი დიდი უპირატესობა დამოუკიდებელ ბაგებთან და ბაღებთან შედარებით.** აქ ადრეული ასაკიდან სკოლაში წასვლამდე ერთ დაწესებულებაში, ერთი და იგივე პედაგოგისა და ტექნიკური პერსონალის ხელმძღვანელობითა და ზრუნვით მიმდინარეობს ბავშვთა სწავლა-აღზრდა, რაც პედაგოგიური თვალსაზრისით მეტად მნიშვნელოვანი ფაქტორია.

კომუნისტური პარტია და საბჭოთა მთავრობა დღენიადაგ ზრუნავენ სკოლამდელ დაწესებულებათა ქსელის განვითარებისათვის და დიდძალ თანხებს გამოყოფენ ბაგა-ბაღების მშენებლობისათვის. ერთი 140-ადგილიანი ბაგა-ბაღის მშენებლობა სახელმწიფოს 180-200 ათასი მანეთი უჯდება, ხოლო ერთი ბავშვის შენახვა წელიწადში — 271 მანეთი. აქედან მშობელი მხოლოდ 95 მანეთს იხდის.

დღეს, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის ეპოქაში, მძლავრად იცვალა სახე სოციალისტურმა სოფელმა, გაფართოვდა კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებათა ქსელი, ამაღლდა ხალხის მატერიალური დონე. საბავშვო ბაღი ორგანულად შეერწყა სოფლის კულტურულ ცხოვრებას.

სოფლის თავკაცები, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ხელმძღვანელები თანდათან ჩასწვდნენ საბავშვო ბაღის სიკეთესა და არსს, ძალ-ღონეს და სახსრებს არ იშურებენ, რათა სოფლად გაიშალოს სკოლამდელ დაწესებულებათა ქსელი. **უკანასკნელი ხუთი წლის განმავლობაში კოლმეურნეობების საინიციატივო სახსრებით აიგო 100-ზე მეტი სკოლამდელი დაწესებულება და უსასყიდლოდ გადაეცა განათლების ორგანოებს.**

მიბაძვის ღირსია თელავის, გორის, ზუგდიდის, საგარეჯოს, გურჯაანის, საჩხერის, ლაგოდეხის, გარდაბნისა და სხვა რაიონები, სადაც ყოველწლიურად სოფლად ახალ-ახალი სკოლამდელი დაწესებულებები დგებიან მწყობრში.

ლაგოდეხის რაიონში 22 სკოლამდელი დაწესებულებაა და აქედან 15 კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა ააშენეს და ინვენტარით მოაწყვეს.

ასეთივე ღონისძიებები განახორციელეს ზუგდიდის რაიონის სოფელ კახათის, წითელწყაროს რაიონის სოფელ ჯაფარიძის სახელობის, გურჯაანის რაიონის ვაზისუბნის კოლმეურნეობებმა, გორის რაიონის კარალეთის მეხილეობის, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის გალის რაიონის ციტრუსების საბჭოთა მეურნეობებმა და სხვ.

სოფლად სეზონური საკოლმეურნეო სკოლამდელი დაწესებულებები თანდათან მუდმივმოქმედი ხდება. და ეს მისასალმებელია, რადგან სეზონურ ბაგა-ბაღებში, რომლებიც სასოფლო-სამეურნეო სამუშაოების დროს რამდენიმე თვით იხსნება, ძირითადად, ბავშვთა მეთვალყურეობის საკითხია გადაწყვეტილი და უგულებელყოფილია სისტემატური, გეგმაზომიერი სწავლა-აღზრდა, ბავშვების გონებრივი, ფიზიკური, ზნეობრივი, ესთეტიკური მომზადება.

სეზონური საბავშვო ბაღების მუდმივმოქმედად გადაკეთების ინიციატორი ქობულეთის რაიონი გახლავთ. მას მიჰყვა ხელვაჩაურის რაიონი, სადაც 16 სეზონური საბავშვო ბაღი გადაკეთდა მუდმივმოქმედად. მეათე ხუთწლედში აჭარაში მუდმივმოქმედი საკოლმეურნეო ბაგა-ბაღების ქსელი 64 ერთეულით გაიზრდება.

**მიუხედავად წინგადადგმული ნაბიჯებისა, სოფლად სკოლამდელ დაწესებულებებში ბავშვთა მხოლოდ 10 პროცენტია ჩაბმული.** რესპუბლიკის 725 კოლმეურნეობიდან მუდმივმოქმედი საკოლმეურნეო საბავშვო ბაღი აქვს მხოლოდ ორმოცს.

**სამწუხაროდ, უნდა აღინიშნოს, რომ რესპუბლიკაში სკოლამდელ დაწესებულებათა ქსელი მინიმალურადაც ვერ აკმაყოფილებს მოსახლეობის დღევანდელ გაზრდილ მოთხოვნილებას და საგრძნობლად ჩამორჩება არა მარტო მოკავშირე რესპუბლიკების, არამედ საშუალო-საკავშირო მაჩვენებლებს.**

ამის ძირითადი მიზეზი ის არის, რომ საკმაოდ დაგეგმარებული არ არის სკოლამდელ დაწესებულებათა მშენებლობა, მათ დადგენილ ვადებში ვერ ამთავრებენ, ირღვევა დისლოკაცია... ზოგჯერ სკოლამდელი დაწესებულებები ისეთ ადგილებში შენდება, სადაც მათზე მოთხოვნილება არ არის. ხშირად რამდენიმე ბაგა-ბაღს ერთმანეთის ახლოს განალაგებენ და ამიტომ ბავშვებით არ იტვირთება. ასე მოხდა თბილისის გლდანის მასივში. ვაკისა და საბურთალოს დასახლებაში კი ისეთი მწვავე ნაკლებობაა სკოლამდელი დაწესებულებებისა, რომ თითოეულ სააღმზრდელო ჯგუფში ნორმით გათვალისწინებული 25-ის ნაცვლად 40-50 ბავშვია, რაც უარყოფითად მოქმედებს როგორც ბავშვთა სწავლა-აღზრდის ხარისხზე, ისე სანიტარიულ-ჰიგიენური პირობების დაცვაზე.

**არ სრულდება მთავრობის დადგენილება იმის თაობაზე, რომ ახლად მშენებარე საცხოვრებელი სახლების პირველი სართულები სკოლამდელ დაწესებულებებს დაეთმოს.** ჩვენს მოძმე რესპუბლიკებში ეს დადგენილება წარმატებით სრულდება. რა თქმა უნდა, ცალკე აშენებული ტიპობრივი ბაგა-ბაღი გაცილებით მოხერხებული და კომფორტულია, მაგრამ მჭიდროდ დასახლებულ უბნებში, სადაც ბაგა-ბაღების მწვავე ნაკლებობაა, პირველი სართულების სკოლამდელი დაწესებულებისათვის გადაცემა დიდ სიკეთეს მოგვიტანდა.

სკოლამდელ დაწესებულებათა ქსელის ზრდის ტემპს ისიც აფერხებს, რომ ამ **უკანასკნელ წლებში მსხვილმა წარმოება-დაწესებულებებმა, უწყებებმა, ფაბრიკებმა, ზოგიერთმა სამინისტრომ თითქმის შეწყვიტეს სკოლამდელ დაწესებულებათა მშენებლობა.**

არ სრულდება აგრეთვე „სახმშენის“ ნორმები, რომლებიც ითვალისწინებს ქალაქის 1.000 სულ მოსახლეზე 90-ადგილიანი ბაგა-ბაღის აგებას. ამ ნორმების მიხედვით მილიონიან დედაქალაქში 90 ათასადგილიანი ბაგა-ბაღები უნდა იყოს აგებული, ფაქტიურად კი ბოლო წლების მონაცემებით, 16.500 ადგილი გვაქვს.

უნდა აღინიშნოს, რომ უკანასკნელ სამ წელიწადში სამშენებლო ორგანიზაციები მეტ დაინტერესებას იჩენენ სკოლამდელ დაწესებულებათა მშენებლობის გეგმების შესრულებისადმი. შარშან 4950-ადგილიანის ნაცვლად, საექსპლოატაციოდ გადაცემულია 4995-ადგილიანი ბაგა-ბაღები, წლეულს დაგეგმილია 6480 ბავშვისათვის გათვალისწინებული სკოლამდელი დაწესებულებების ჩაბარება. ამ ამოცანის გადასაჭრელად რესპუბლიკის ადგილობრივმა საბჭოებმა განათლების განყოფილებებთან ერთად მნიშვნელოვანი ღონისძიებანი უნდა განახორციელონ; მშენებლობებზე უნდა შეიქმნას დეპუტატების, ქალთა საბჭოების საგუშაგოები, რომლებმაც მკაცრი კონტროლი უნდა დაუწესონ მშენებლობის დროულად (პირველი ოქტომბრისათვის) და ხარისხიანად დამთავრებას. ეს იქნება ქალებზე, ქვეყნის მომავალი თაობის აღზრდის საშვილიშვილო საქმეზე ზრუნვა.

**გ. აბდუშელიშვილი,**
**საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სკოლამდელი აღზრდის სამმართველოს უფროსი.**

## ხარისხოვანი ჩაის ფოთლის შესყიდვის გეგმის შესრულება 26 ივნისისათვის (ტონობით)

| | 1978 წელს | 1977 წელს |
|---|---|---|
| წლიური გეგმა და ვალდებულება | 420000 | 412048 |
| მაის-ივნისის გეგმა | 214200 | 204223 |
| დამზადებულია 25 ივნისს | 2406 | 1198 |
| დამზადებულია ივნისის 25 დღეში | 88052 | 69371 |
| დამზადებულია სეზონის დასაწყისიდან 26 ივნისამდე | 193330 | 190090 |
| პროცენტობით წლიურ გეგმა-ვალდებულებასთან შედარებით | 46 | |
| ორი თვის გეგმასთან შედარებით | 90,2 | |

საქართველოს ჩაის პლანტაციებში დაძაბული დღეებია. ბევრმა მეურნეობამ უკვე შეასრულა სახელმწიფოსათვის ხარისხოვანი ჩაის ფოთლის მიყიდვის მაის-ივნისის გეგმა. სოფლის მშრომელების შრომითი აღმავლობის ახალ სტიმულად იქცა ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის სიტყვა გმირი ქალაქის მინსკისათვის ლენინის ორდენისა და ოქროს ვარსკვლავის მედლის გადაცემისადმი მიძღვნილ საზეიმო სხდომაზე. როცა სოფლის მეურნეობის განვითარებაში ბელორუსიის წარმატებებზე ლაპარაკობდა, ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევმა აღნიშნა, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში მიწისადმი ყაირათიან, გონივრულ მიდგომას. ქართველმა მეჩაიეებმა მაღალ აგროტექნიკურ დონეზე განახორციელეს პლანტაციების მოვლის ყველა ღონისძიება, მიუხედავად ცუდი ამინდისა, უმოკლეს დროში დაძლიეს ჩაის ფოთლის კრეფაში გასულ წელთან შედარებით არსებული ჩამორჩენა. ახლა მახარაძის, ჩოხატაურის, ზუგდიდის, ლანჩხუთის, წულუკიძის, სხვა რაიონების მოწინავე მეურნეობები განსაკუთრებულ კონტროლს უწევენ პლანტაციების ყოველ ნაკვეთს, ცდილობენ მთლიანად აღმოფხვრან ფოთლის დანაკარგები კრეფისა და ფაბრიკაში მიტანის დროს, გამალეს შეჯიბრება პლანტაციებისათვის ხარისხის ნიშნის მისანიჭებლად.

სამრეწველო გაერთიანება „საქართველოს ჩაის“ მონაცემებით კრეფის სეზონის დაწყებიდან 26 ივნისისათვის დამზადებულია 193.330 ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი — 3.240 ტონით მეტი, ვიდრე გასული წლის შესაბამის პერიოდში.

(საქინფორმი).

## მეთერთმეტე ხუთწლედის ანგარიშში



ბეგეჭკორი. სოფელ გაჭედილის კოლმეურნეობა „ავახგარდის“ წარჩინებულმა მეჩაიემ, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატმა ლენინის ორდენოსანმა ლუდიკო ბართიამ მეთერთმეტე ხუთწლედის მეორე წლის ანგარიში გახსნა.

უხვი მოსავლის ოსტატმა, კოლმეურნეობის ახალგაზრდობის დამრიგებელმა ლ. ბართიამ მეათე ხუთწლედის დაწყებიდან 51 ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი მოკრიფა, ხუთწლეულისთვის კი 43 ტონა ჰქონდა გათვალისწინებული. სურათზე: ლ. ბართია.

ი. ჭოხონელიძის ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

# საერთაშორისო მიმოხილვა

ყოველდღე ყოველდღე ყოველდღე

● საქდესის ინფორმაცია

# რეალისტური პროგრამა

ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის სიტყვა საზღვარგარეთის პრესისა და რადიოს ყურადღების ცენტრში

**[illegible] გაღრმავებისათვის ბრძოლის მკაფიო და რეალისტური პროგრამა, დასახულია ყველა ხალხისათვის ჭეშმარიტად მტკიცე მშვიდობისაკენ წინსვლის ნათელი პერსპექტივა.**

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს ხელმძღვანელმა, წერს ჩეხოსლოვაკიის **„რუდე პრავო"**, ხაზი გაუსვა, რომ ყველა ქვეყნის მშრომელთა საარსებო ინტერესები მოითხოვენ, ნება არ მისცენ ხაზი გადაესვას ყოველ კეთილ საქმეს, რაც ამ უკანასკნელი წლების მანძილზე გაკეთდა მსოფლიო ასპარეზზე, განაგრძონ წინსვლა ყველა ხალხისათვის ნამდვილად მტკიცე მშვიდობისაკენ.

ლ. ი. ბრეჟნევის მიერ მინსკში წარმოთქმულ სიტყვაში არა მარტო კიდევ ერთხელ დადასტურებულია სსრ კავშირის უაღრესად მშვიდობისმოყვარული და კონსტრუქციული პოლიტიკური კურსი, არამედ აგრეთვე ხაზგასმულია, რომ მტკიცე მშვიდობისათვის ბრძოლა ყველა მთავრობის, ყველა ხალხის საქმეა, წერს პოლონური **„ტრიბუნა ლუდუ"**. ბულგარული **„რაბოტნიჩესკო დელო"** აღნიშნავს, რომ სსრ კავშირი განიარაღებისათვის ბრძოლის ავანგარდშია. გაზეთს მოჰყავს ციტატი ლ. ი. ბრეჟნევის სიტყვის იმ ნაწილიდან, სადაც ხაზგასმულია, რომ საბჭოთა კავშირმა და სხვა სოციალისტურმა ქვეყნებმა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის ნიუ-იორკის სპეციალურ სესიაზე წამოაყენეს გამალებული შეიარაღების სრული შეწყვეტის გაბედული, ამასთან რეალისტური პროგრამა.

ლ. ი. ბრეჟნევის სიტყვის ვრცელ კომენტარს უძღვნის დასავლეთის ქვეყნების, მათ შორის ამერიკის შეერთებული შტატების პრესა. საბჭოთა ხელმძღვანელმა, აღნიშნავს **„ნიუ-იორკ ტაიმსი"**, განაცხადა, რომ ამერიკის შეერთებული შტატები და ნატოს სხვა ქვეყნები არ იჩენენ დაინტერესებას გამალებული შეიარაღების აღკვეთით და მოუწოდა დასავლეთს სერიოზული პასუხი გასცეს საბჭოთა კავშირის ამასწინანდელ წინადადებებზე ცენტრალურ ევროპაში შეიარაღებული ძალებისა და შეიარაღების შეზღუდვის შესახებ. **„ვაშინგტონ პოსტი"** აღნიშნავს, ლ. ი. ბრეჟნევმა „გააფრთხილა ამერიკის შეერთებული შტატები, რომ „ჩინური კოზირის" გათამაშება სსრ კავშირის [illegible]ნააღმდეგ — ნიშნავს ბევრ და [illegible] პოლიტიკის განხორციელე[illegible]".

ლ. ი. ბრეჟნევმა, წერს ინგლისური **„დეილი ტელეგრაფი"**, მკაცრად გააკრიტიკა შეერთებული შტატები და ნატოს ქვეყნები განიარაღების პრობლემისადმი არაკონსტრუქციული მიდგომისათვის. გაზეთი ხაზს უსვამს საბჭოთა ხელმძღვანელის დასავლეთისადმი მიმართულ მოწოდებას ბოლოს და ბოლოს მკვდარი წერტილიდან დასძრან ვენის მოლაპარაკება. საბჭოთა ხელმძღვანელის მიერ მინსკში წარმოთქმულ სიტყვაში, აღნიშნავს **რეიტერის სააგენტო**, განსაკუთრებით ხაზგასმულია, რომ სწორედ ევროპას შეუძლია პრაქტიკულად გვიჩვენოს, როგორ უნდა თანაარსებობა, თანამშრომლობა, ერთად მუშაობა, განსაკუთრებით ახლა, როცა საერთაშორისო ვითარება კვლავ მწვავდება.

ლ. ი. ბრეჟნევმა აღნიშნა ვარშავის ხელშეკრულების მონაწილე სახელმწიფოთა ახალი ფართო და კონკრეტული წინადადებანი ვენის მოლაპარაკებაზე, წერს დასავლეთ გერმანიის **დპას სააგენტო**. დასავლეთ გერმანიის მეორე **სააგენტო—დდპ** აცხადებს, რომ საბჭოთა სახელმწიფოსა და პარტიის ხელმძღვანელმა საბჭოთა კავშირისა და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ურთიერთობა შეაფასა როგორც მაგალითი წარმატებითი ღონისძიებებისა ევროპაში დაძაბულობის შენელების საქმეში.

## იტალია: პრეზიდენტის არჩევნების წინ

### ჯერ ვერ მიაღწიეს ერთიან აზრს

**რომი, 26 ივნისი. (საქდესი).** იტალიაში მთავრდება მზადება პრეზიდენტის არჩევნებისათვის, რომელიც დანიშნულია 29 ივნისისათვის. მალე დასრულდება პარტიებს შორის ორმხრივი კონსულტაციები სახელმწიფოს მომავალი მეთაურის კანდიდატურის შესახებ. როგორც ვიცით, რესპუბლიკის ახალი პრეზიდენტის არჩევნები იტალიაში ეწყობა ვადამდე ქრისტიანი დემოკრატის ჯ. ლეონეს გადადგომასთან დაკავშირებით, რომელიც იძულებული იყო თავისი პოსტიდან გადამდგარიყო მას შემდეგ, რაც იტალიის პრესაში დაიბეჭდა სტატიები, რომლებიც მას ბრალად სდებდნენ, რომ თავი აარიდა გადასახადების გადახდას და მონაწილეობდა სკანდალში „ლოკჰიდის" საქმის გამო.

მიუხედავად იმისა, რომ პრეზიდენტის არჩევნებამდე მხოლოდ სამი დღეა დარჩენილი, პარტიებმა ჯერ ვერ მიაღწიეს ერთიან აზრს სახელმწიფოს მომავალი მეთაურის კანდიდატურის შესახებ. ჯერ კიდევ საბოლოოდ არ განუსაზღვრია თავისი პოზიცია მმართველ ქრისტიანულ-დემოკრატიულ პარტიასაც. ამავე დროს სოციალისტები დაბეჯითებით მოითხოვენ, რომ პრეზიდენტის პოსტზე დაასახელონ თავისი პარტიის წარმომადგენელი.

პრეზიდენტის კანდიდატურის დასახელების საკითხზე მტკიცე და თანამიმდევრულ პოზიციას ადგას იტალიის კომუნისტური პარტია. იტალიის კომუნისტური პარტია, აღნიშნავს მოწინავე სტატიაში გაზეთი „უნიტა", იბრძვის იმისათვის, რომ ამ საკითხზე ფართო შეთანხმებას მიაღწიოს ყველა დემოკრატიულმა პარტიამ, ამასთან უპირატესობას ანიჭებს კანდიდატს, რომელიც არ იქნება ქრისტიანულ-დემოკრატიული პარტიის წევრი.

## დამღუპველი კურსი

**ბეირუთი, 26 ივნისი. (საქდესი).** უკანასკნელი ანტიდემოკრატიული აქციები, რომლებიც ეგვიპტის ხელისუფლებმა განახორციელეს, ეწინააღმდეგება კონსტიტუციას და რწმუნებულებას აძლევს სასამართლო ორგანოებს გადაწყვიტონ პოლიტიკური პარტიების მომავალი, აკრძალონ მათი საქმიანობა და ჩაახშონ პრესის თავისუფლება, განაცხადა ლიბანის ყოველკვირეულ „ალ-ჰურრიიასათვის" მიცემულ ინტერვიუში ეგვიპტის თვალსაჩინო პოლიტიკურმა და საზოგადო მოღვაწემ ეროვნულ-პროგრესული (მემარცხენე) პარტიის თავმჯდომარემ ჰ. მოჰი ედ-დინმა. მან აღნიშნა, რომ ეგვიპტის ხელმძღვანელობის მიერ ამგვარი რეპრესიული ღონისძიებების განხორციელება ცხადყოფს ღრმა შინაპოლიტიკური კრიზისის არსებობას, რომელსაც ჩიხში მიჰყავს ქვეყანა. ეგვიპტის რეჟიმის ახლანდელი კურსი არ უწყობს ხელს ეგვიპტის ოკუპირებული ტერიტორიის განთავისუფლების საქმეს და ეწინააღმდეგება პალესტინის არაბი ხალხის ინტერესებს.

პოლიტიკურ კრიზისს ეგვიპტეში, თქვა ჰ. მოჰი ედ-დინმა, თან ახლავს ეკონომიკური კრიზისი, რომლისგანაც იტანჯება ქვეყნის მშრომელი მასების დიდი უმრავლესობა. ამ პირობებში, ხაზი გაუსვა მან, ეგვიპტის მთელი ეროვნულ-პოლიტიკური ძალების ვალია დაიცვან დემოკრატია და ნება არ მისცენ ხელისუფლებს ფეხქვეშ გათელონ კანონიერება და კონსტიტუცია.

## გიორგი გაბრიელის ძე ყურაშვილი

78 წლისა გარდაიცვალა ცნობილი მხედართმთავარი, სამოქალაქო და დიდი სამამულო ომების აქტიური მონაწილე, სკკპ წევრი 1918 წლიდან, გადამდგარი გენერალ-მაიორი გიორგი გაბრიელის ძე ყურაშვილი.

კომუნისტურმა პარტიამ, სამშობლომ დაკარგა ერთგული შვილი, რომელმაც მთელი თავისი შეგნებული ცხოვრება მოახმარა ლენინური იდეების განხორციელებას, საბჭოთა ქვეყნის დაცვასა და ძლიერების განმტკიცებას, მის წინსვლას.

60 წლის მანძილზე იგი უმწიკვლოდ ემსახურებოდა საბჭოთა შეიარაღებულ ძალებს. 18 წლის ასაკიდან, ახალგაზრდა ბოლშევიკი იარაღით ხელში იბრძოდა მენშევიკური ბატონობის წინააღმდეგ, საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისათვის.

1921 წელს, როდესაც შედგა წითელი არმიის ქართული ნაწილები, გ. ყურაშვილი პარტიული მობილიზაციით გაიგზავნა ქართულ მესამე პოლკში პოლიტიკური ხელმძღვანელის თანამდებობაზე. 1924 წელს დაამთავრა მეთაურთა სამხედრო სკოლა. 1931 წელს საბრძოლო და პოლიტიკური მომზადების დარგში საუკეთესო მაჩვენებლებისათვის დააჯილდოვეს „საქართველოს სსრ შრომის წითელი დროშის ორდენით".

1936 წელს გ. ყურაშვილმა პირველი ხარისხის დიპლომით დაამთავრა ფრუნზეს სახელობის სამხედრო აკადემია, რის შემდეგაც მეთაურობდა სამხედრო ნაწილს ჯერ ქ. ბათუმში, შემდეგ კი ხარკოვში, 1939 წელს სამხედრო ნაწილმა, რომლის შტაბის უფროსიც გ. ყურაშვილი იყო, აქტიური მონაწილეობა მიიღო დასავლეთ უკრაინის განთავისუფლებაში.

დიდი სამამულო ომის პირველი დღეებიდანვე გ. ყურაშვილი მეთაურობდა შენაერთებს, რომლებმაც არაერთი სახელოვანი ფურცელი ჩაწერეს სამშობლოს დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის ისტორიაში. იგი მონაწილეობას იღებდა 1941 წლის დეკემბრის სადესანტო ოპერაციის განხორციელებაში ქერჩის ნახევარკუნძულზე.

განსაკუთრებული დამსახურება აქვს გ. ყურაშვილს კავკასიის დაცვისათვის ბრძოლებში. მისი ხელმძღვანელობით განხორციელდა მტრისაგან სვანეთის უღელტეხილების გაწმენდა. გენერალ-პოლკოვნიკ კ. ნ. ლესელიძის არმიის შემადგენლობაში მყოფმა 414-ე ქართულმა დივიზიამ გ. ყურაშვილის მეთაურობით უაღრესად დიდი როლი შეასრულა ნოვოროსიისკის, ანაპის, ტამანის განთავისუფლებაში, ყირიმის ბრძოლებში.

თანამებრძოლებს, კოლეგებს ახლაც ახსოვთ დივიზიის გამ[illegible] მეთაურის გ. ყურაშვილის პირადი ვაჟკაცობა, შეუპოვრობა, რკინისებური ხასიათი. 1944 წლის 22 თებერვალს გ. ყურაშვილს მიენიჭა გენერალ-მაიორის წოდება. იმავე წლის დეკემბერში იგი დაინიშნა წითელი არმიის მთავარ ინსპექციაში წითელი არმიის უფროს ინსპექტორად.

1949 წლიდან გ. ყურაშვილი საქართველოს სსრ სამხედრო კომისარია, 1952 წლიდან თადარიგში გასვლამდე მუშაობდა უკრაინის სსრ ნიკოლაევის ოლქის სამხედრო კომისრად. სახელგანთქმული მხედართმთავარი არაერთგზის ყოფილა არჩეული პარტიის საოლქო კომიტეტის წევრად, სახალხო საბჭოების დეპუტატად. იყო საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მესამე მოწვევის დეპუტატი.

სამშობლომ იგი ექვსი ორდენითა და მრავალი მედლით დააჯილდოვა. არაერთგზის დაუმსახურებია უმაღლესი მთავარსარდლობის მადლობა.

გიორგი ყურაშვილი იყო შესანიშნავი მოქალაქე, თავმდაბალი, მომხიბლავი, კეთილშობილი, საქვეყნო საქმეზე მზრუნველი ადამიანი. გ. ყურაშვილი ეწეოდა ნაყოფიერ საზოგადოებრივ საქმიანობას. იგი იყო საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების შტატგარეშე ლექტორი. განსაკუთრებით აღსანიშნავია მისი წვლილი ახალგაზრდობის პატრიოტული სულისკვეთებით აღზრდის საქმეში. უაღრესად ნაყოფიერი იყო მისი მოღვაწეობა საზოგადოება „ცოდნის" საქმიანობაში.

დიდი ენერგია შეალია გენერალმა გ. ყურაშვილმა ომის ვეტერანთა თბილისის სექციის საქმიანობას, რომლის ერთ-ერთი ხელმძღვანელიც იგი იყო. ამავე დროს იგი დაუშრომლად სწავლობდა, იკვლევდა დიდი სამამულო ომის ისტორიას. მისი წიგნი „სამშობლოს ერთგული შვილები" — ამაღელვებელი მონათხრობია საქართველოში დაბადებულ და დავაჟკაცებულ საბჭოთა არმიის სახელმოხვეჭილ მხედართუფროსებზე, რომლებიც სხვა მოძმე ხალხების წარმომადგენელთა მხარდამხარ იბრძოდნენ სამშობლოსათვის. გ. ყურაშვილი ავტორია აგრეთვე წიგნების: „მრისხანე კავკასიონთან", „თერგიდან სევასტოპოლამდე", „ქართველი მხედართმთავარი (კ. ლესელიძე)", „ძმათა სისხლით" და სხვ.

წავიდა ჩვენგან ვალმოხდილი ადამიანი, რომელმაც თავისი ვაჟკაცური და ნათელი ცხოვრებით მომავალ თაობებს კომუნისტური პარტიის, საბჭოთა სამშობლოსა და მშრომელი ხალხის ერთგულების შესანიშნავი მაგალითი მისცა.

ე. ა. შევარდნაძე, ზ. ა. პატარიძე, პ. გ. გილაშვილი, გ. ვ. კოლბინი, ჯ. ი. პატიაშვილი, ვ. მ. სირაძე, ზ. ა. ჩხეიძე, თ. ნ. მენთეშაშვილი, ა. ნ. ინაური, უ. კ. შარტავა, ს. ე. ხაბეიშვილი, ე. კ. ხარაძე, გ. ი. გვეტაძე, ა. მ. ოვერჩუკი, ვ. ნ. ჯანჯღავა, მ. ი. ჯაში, ვ. ი. მურუსიძე, ვ. ვ. ნანეიშვილი, ნ. ტ. თავართქილაძე.

## ნატოს წევრებზე ზემოქმედებას ახდენენ

**ვაშინგტონი, 26 ივნისი. (საქდესი).** აქ გამოაცხადეს, რომ პრეზიდენტმა ჯ. კარტერმა გადაწყვიტა ამ თვის დამლევს დასავლეთ ევროპაში გაგზავნოს დემოკრატთა ლიდერი სენატში რ. ბერდი, რომელიც, როგორც მისი „პირადი წარმომადგენელი" მოლაპარაკებას გამართავს ნატოს შტაბ-ბინაში და დასავლეთ ევროპის მთელ რიგ დედაქალაქებში.

როგორც პრესკონფერენციაზე განაცხადა რ. ბერდმა, მას დავალებული აქვს ხაზგასმით აღნიშნოს, თუ რა დიდ მნიშვნელობას ანიჭებს ამერიკის შეერთებული შტატები ნატოს საბჭოს ვაშინგტონის სესიის გადაწყვეტილებათა შესრულებას, და მოუწოდოს ამერიკის შეერთებული შტატების მოკავშირეებს კონკრეტული პროგრამები შეიმუშაონ დასახული მიზნების მისაღწევად.

როგორც ვიცით, ნატოს საბჭოს ვაშინგტონის სესიაზე მიიღეს ამ აგრესიული ბლოკის სამხედრო პოტენციალის ზრდის ახალი გრძელვადიანი პროგრამა. ამერიკის შეერთებული შტატების ზეგავლენით დასავლეთევროპელი მოკავშირენი დათანხმდნენ თავიანთი სამხედრო ხარჯები ყოველწლიურად გაადიდონ 3 პროცენტით, აგრეთვე დააჩქარონ შეიარაღებული ძალების ინტეგრაცია ნატოს ფარგლებში.

ჯ. კარტერის თხოვნით რ. ბერდი აგრეთვე ეწვევა ესპანეთს. ამ ბლოკში ესპანეთის შეყვანაზე უკვე დიდი ხანია ოცნებობენ ნატოს ხელმძღვანელები. რ. ბერდს დავალებული აქვს ესპანეთის ლიდერებს განუცხადოს, თუ რა „დიდ მნიშვნელობას ანიჭებს ამერიკის შეერთებული შტატები ესპანეთთან თანამშრომლობას თავდაცვის დარგში".

„იაპონელი ხალხი გადაჭრით მოითხოვს მთლიანად აიკრძალოს ყველა სახის ბირთვული იარაღი, მათ შორის ნეიტრონული" — ასეთი ლოზუნგით გაიმართა მშვიდობისათვის მებრძოლთა სრულიად იაპონიის მარში, რომელიც თვენახევარს გაგრძელდა. მარში გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის განიარაღების სპეციალურ სესიასთან დაკავშირებით გაიმართა.

• • •

სურათზე: მარშის მონაწილენი ტოკიოს ქუჩებში.

ჯაპან პრეს-საქდესის ფოტო.

### აიკრძალოს ნეიტრონული ბომბი!




## ჰ. შმიდტი აფრიკაში გაემგზავრა

**ბონი, 26 ივნისი. (საქდესი).** გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის კანცლერი ჰ. შმიდტი გაემგზავრა აფრიკაში, სადაც იგი ეწვევა ნიგერიასა და ზამბიას.

ვიზიტების პროგრამა ითვალისწინებს მოლაპარაკებას ნიგერიის ფედერალური სამხედრო მთავრობის მეთაურთან ო. ობასანჯოსთან და ზამბიის პრეზიდენტთან კ. კაუნდასთან. აქ გამოცხადებულია, რომ მოლაპარაკების ყურადღების ცენტრში იქნება სამხრეთ აფრიკის, აფრიკის რქისა და ზაირის მდგომარეობასთან დაკავშირებული პრობლემები, აგრეთვე „ნიგერიასთან და ზამბიასთან ეკონომიკური თანამშრომლობის" საკითხები.

როგორც ვიზიტის წინ განაცხადა მთავრობის ოფიციალურმა წარმომადგენელმა, „ახლა აფრიკის კონტინენტი გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის საგარეო პოლიტიკის ერთ-ერთ მთავარ პუნქტს წარმოადგენს". მისი თქმით, ვიზიტის დროს განიხილავენ აგრეთვე ნიგერიასთან და ზამბიასთან გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ორმხრივ პოლიტიკურ და ეკონომიკურ ურთიერთობას.

## სახელმწიფო გადატრიალების ცდა ჩაიშალა

გაერთიანებული პოლიტიკური ორგანიზაცია — ეროვნული ფრონტის ცენტრალური კომიტეტის განცხადება

**კაირო, 26 ივნისი (საქდესი).** ადენის რადიო დღეს იტყობინება, რომ მარცხით დამთავრდა სახელმწიფო გადატრიალება, რომელიც სცადა იემენის სახალხო დემოკრატიული რესპუბლიკის საპრეზიდენტო საბჭოს ყოფილმა თავმჯდომარემ სალემ რუბეია ალიმ ქვეყანაში ძალაუფლების დაპყრობის მიზნით. ეს ნათქვამია გაერთიანებული პოლიტიკური ორგანიზაცია — ეროვნული ფრონტის ცენტრალური კომიტეტის განცხადებაში, რომელიც რადიომ გადასცა.

როგორც აღნიშნულია ამ განცხადებაში, ს. რუბეია ალიმ უარი თქვა დასწრებოდა ეროვნული ფრონტის ცენტრალური კომიტეტის საგანგებო სხდომას, რომელიც გუშინ საღამოს გაიმართა. ამის ნაცვლად მან გამოგზავნა განცხადება გადადგომის შესახებ, რადგან გრძნობდა, რომ სხდომაზე განმარტებას მოსთხოვდნენ მისი მოქმედების გამო, რომელიც არ გამოხატავს გაერთიანებული პოლიტიკური ორგანიზაცია — ეროვნული ფრონტისა და მთავრობის პოლიტიკას.

ეროვნული ფრონტის ცენტრალური კომიტეტი დაეთანხმა ს. რუბეია ალის გადადგომას და გაათავისუფლა იგი ყველა პოსტიდან, რის შემდეგ მან სცადა გადატრიალება მოეხდინა ქვეყანაში.

გადატრიალების ცდა იმით დაიწყო, ნათქვამია განცხადებაში, რომ ცეცხლი დაუშინეს შენობას, სადაც ცენტრალური კომიტეტის სხდომა მიმდინარეობდა, და მის ახლომდებარე რაიონებს. ცენტრალური კომიტეტი იძულებული გახდა ებრძანებინა ჯარის ნაწილებისათვის ამბოხების ჩახშობა. ჩვენი შეიარაღებული ძალებისა და ხალხის მასების შესანიშნავი ერთობის წყალობით და რევოლუციური ავანგარდული ორგანიზაციის ხელმძღვანელობით გადატრიალების ცდა ჩაიშალა და იგი სავსებით ჩახშობილია.

როგორც დღეს საღამოს გადასცა ადენის რადიომ, საპრეზიდენტო საბჭოს ახალ თავმჯდომარედ დაინიშნა ალი ნასერ მუჰამედი, რომელსაც დღემდე პრემიერ-მინისტრისა და საპრეზიდენტო საბჭოს წევრის პოსტები ეკავა. გაერთიანებული პოლიტიკური ორგანიზაცია — ეროვნული ფრონტის ცენტრალური კომიტეტის დეკრეტის თანახმად, იგი ამ პოსტებსაც იტოვებს.

## აფეთქება ვერსალის სასახლეში

**პარიზი, 26 ივნისი. (საქდესი).** წუხელ ძლიერმა აფეთქებამ შეაზანზარა საფრანგეთის დედაქალაქის გარეუბანში მდებარე ვერსალის სასახლე. საფრანგეთის მეფეთა ყოფილ რეზიდენციაში, რომელიც შემდეგ 1879 წლამდე პრეზიდენტის ადგილსამყოფელი და პარლამენტის სხდომების ადგილი იყო, ამჟამად ფრანგული და მსოფლიო ხელოვნების ნაწარმოებთა უმდიდრესი კოლექცია ინახება.

დიდი სიმძლავრის ასაფეთქებელი მოწყობილობა დამნაშავეებს შენობის პირველ სართულზე ერთ-ერთი ქანდაკების უკან დაუმალავთ. აფეთქებამ დააზიანა ვერსალის სასახლის მარცხენა ფრთის სამი სართული, სადაც 1837 წლიდან განლაგებულია ექსპოზიცია „საფრანგეთის ისტორია".

თითქმის მთლიანად დაინგრა სამი დარბაზი, რომლებშიც თავმოყრილი იყო ნაპოლეონის ეპოქის ამსახველი ხელოვნების ნაწარმოებები და ისტორიული რელიკვიები. მუზეუმის ეს ნაწილი რესტავრაციის შემდეგ მიმდინარე წლის მაისში გაიხსნა. ძალზედ დაზიანდა სახელგანთქმული „ბრძოლების გალერეა". ჯერ გაურკვეველია რა ბედი ეწია აქ გამოფენილ ფერწერის ისეთ შედევრებს, როგორიცაა დელაკრუას „ტაიბურის ბრძოლა" და დავიდის მიერ შესრულებული ნაპოლეონის პორტრეტები.

დაიწყო შენობის ნანგრევებისაგან გაწმენდის სამუშაოები. როგორც ვარაუდობენ დაზიანების ლიკვიდაციის ხარჯები 5 მილიონ ფრანკს გადააჭარბებს.

## მიუსაჯეს პატიმრობა

**ბეირუთი. (საქდესი).** ამ დღეებში ოთხი წლის პატიმრობა მი[illegible]

# მითი „ბედნიერი უმუშევრის" შესახებ

სიყალბე ეთერში

„გერმანულმა ტალღამ" პირწავარდნილი ანტისაბჭოელების რუპორის საძრახისი სახელი მოიხვეჭა. თითქოსდა, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ოფიციოზურ რადიოსადგურს, რომელსაც ბიუჯეტით ყოველწლიურად 300 მილიონი მარკა დოტაცია ეძლევა, როგორღაც უნდა აესახა საბჭოთა კავშირისათვის გათვალისწინებულ გადაცემებში მემარცხენე ლიბერალური მთავრობის საგარეო პოლიტიკა, რომელმაც თავის მიზნად დაძაბულობის შენელება გამოაცხადა. მაგრამ არაფერი ამის მსგავსი არ ხდება.

იმ იშვიათ შემთხვევებშიც კი, როცა „გერმანული ტალღა" რუსულ ენაზე გადაცემებში განმარტავს არა საბჭოთა საგარეო თუ საშინაო პოლიტიკას, არამედ თვით დასავლეთ გერმანიაში ცხოვრების ამა თუ იმ სფეროებს, იგი ახერხებს თავისი გადაცემები გადააქციოს ფსიქოლოგიური ომის აქციებად, რომლებიც იდეოლოგიური პოლემიკის ფარგლებს სცილდება.

აქაური იდეოლოგებისა და პროპაგანდისტების მტკივნეული ადგილი იყო და არის უმუშევრობა — ეს მოუშორებელი ლაქა „საყოველთაო კეთილდღეობის სახელმწიფოს" ქილეტზე. როგორც მთავრობის ექსპერტების, ისე დასავლეთ გერმანიის პროფკავშირების ერთსულოვანი აზრით, უმუშევრობა კვლავ უპირველეს ეკონომიკურ და სოციალურ პრობლემად რჩება. იგი დიდ საშიშროებას უქმნის ქვეყანას, ამ საკითხის გადაწყვეტის რეალური გზები კი ჯერჯერობით არ ჩანს. [illegible]

„ტალღას" ისღა დარჩენია, რომ სოციალისტური ქვეყნებისათვის გათვალისწინებული გადაცემებით კვლავ და კვლავ დაანაგვიანოს ეთერი ყბადაღებული მონაჭორებით, თითქოს დასავლეთგერმანელი უმუშევარი ისე „ნეტარად ცხოვრობდეს", რომ თურმე ნუ იტყვით, სოციალისტური ქვეყნების მშრომელებს შეშურდებათ კიდეც. ერთი სიტყვით, ჟანრის კრიზისი დაუდგათ. მთელი ეს, აქაური გამოთქმით, „ცივი ყავა", რომელსაც „ძვირფას რადიომსმენელებს" სთავაზობს „გერმანული ტალღა", თავისთავად ყურადღების ღირსი არ არის. მაგრამ ხერხებს, რომლებსაც ამგვარი გადაცემების ავტორები და რეჟისორები მიმართავენ, მყრალი სუნი ასდის.

მაგალითად, „გერმანული ტალღის" კომენტატორებმა გადაწყვიტეს გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში „ბედნიერი უმუშევრების" მითი შეევსოთ დეტალით, რომელსაც, მათი აზრით, უნდა გაეოცებინა საბჭოთა ადამიანები. რუსულ ენაზე თავის გადაცემებში „გერმანული ტალღა" გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში უმუშევრობის დახმარების თანხას ასახელებს არა მარკებით, არამედ... მანეთობით, თანაც, რა თქმა უნდა, კურსსაც არ ძრავენ შესადარ ფასებზე. ვთქვათ, მემონტაჟე-ქალის საშუალო ხელფასი დასავლეთ გერმანიის ელექტრომრეწველობაში 1500 მარკაა (გადასახადებისა და სადაზღვევო შენატანების გამოქვითამდე, რომელიც აქ 30 პროცენტს შეადგენს). ხელფასი კურსის შესაბამისად საბჭოთა ვალუტაზე გადმოჰყავთ — გამოდის დაახლოებით 470 მანეთი. [illegible]

ცხოვრობს სოცუზრუნველყოფის ფონდებიდან მიღებული დახმარებით, რომელიც, კანონის თანახმად, სულ ცოტა 10 პროცენტით ნაკლებია. კურსის მიხედვით ეს გამოდის დაახლოებით 260 მანეთი თვეში. „შეუძლია თუ არა ბავშვიან მარტოხელა ქალს თვეში 260 მანეთი იყოფინოს? — დათაფლული ხმით გვეკითხება „გერმანული ტალღის" ემიგრანტი დიქტორი. — ხომ შეუძლიაო?" და ბოლოს, გვაუწყებს, რომ ახლახან უნახავს „ერთი უმუშევარი", რომელიც ოჯახთან ერთად „დიდ ბინაში" ცხოვრობს და „ორი ძველი ნახმარი ავტომანქანა ჰყავს".

ძნელი სათქმელია, რა უფრო მეტია ამ არგუმენტაციაში: გონებაჩლუნგობა თუ უსირცხვილობა და მსმენელის უპატივცემლობა. მარკებით მოყვანილი თანხები მართლაც ზუსტად კურსის მიხედვით არის გადმოყვანილი მანეთებად, მაგრამ რატომ მოხდა, რომ „გერმანულ ტალღას" სიტყვაც კი არ დაუძრავს თუნდაც იმაზე, რომ „მარტოხელა ბავშვიანი მემონტაჟე" იძულებულია რამდენადმე რიგიან ბინაში სულ ცოტა თვეში 400 მარკა, ანუ ჩვენი ფულით დაახლოებით 120 მანეთი გადაიხადოს. გაგიგონიათ სადმე, რომ საბჭოთა მუშა ახალ სახლში ბინის ქირად 120 მანეთს იხდიდეს? ყველამ ვიცით, რომ ეს შეუძლებელია. მაგრამ ამასთან ერთად, თუ გავითვალისწინებთ იმ დასავლეთგერმანელი უმუშევრის მხოლოდ აუცილებელ ხარჯებს, რომელიც წელიწადზე მეტია არ მუშაობს და სოცუზრუნველყოფის ფონდებიდან მიღებული დახმარებით (ცხოვრობს [illegible]

[illegible]ის ნათქვამი იმაზე, რომ ხელფასის 58 პროცენტი სოცუზრუნველყოფის დახმარების უმაღლესი განაკვეთია და მას ძალიან იშვიათ შემთხვევებში ნიშნავენ. ჩვეულებრივ ასეთი დახმარების ოდენობა დამოკიდებულია მოხელეთა ნებასურვილზე, რომლებიც ყოველნაირად ცდილობენ მის შემცირებას. თუ მაგალითად, უმუშევრის ცოლი შინ კერავს, მაშინ სამუშაოს დაკარგვიდან ერთი წლის შემდეგ ქმარი მიიღებს თავისი უკანასკნელი ხელფასის არა 58, არამედ მხოლოდ 25 პროცენტს. მიდი და იცხოვრე!

შემდეგ, „გერმანული ტალღა" ბევრს ლაყბობს „ძველ ნახმარ ავტომანქანებზე", რომლებითაც ვითომდა ევროპის ავტოსტრადებზე დაქროდნენ ბედნიერი დასავლეთგერმანელი უმუშევრები. გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში, სადაც უპირატესად ქალაქური სამრეწველო ლანდშაფტია, კომუნალური ტრანსპორტი (თუ არ ჩავთვლით ზოგიერთ დიდ ქალაქს) რამდენიმე ათეული წლით ჩამორჩა ჩვენს დონეს, თანაც ამ ტრანსპორტით მგზავრობა ძალიან ძვირი ღირს ამიტომ უმუშევარს მართლაც ურჩევნია უკანასკნელი კაპიკები თავისი ჯაბახანა მცირელიტრაჟიანი მანქანის ძვირადღირებულ მიმდინარე რემონტს მოახმაროს და მხოლოდ მაშინ გამოეთხოვოს მას, როცა მეტნაკლებად რიგიან ბინას მიატოვებს და სამუდამოდ დაკარგავს ნისიად ნაყიდ ნივთებსაც.

შეიძლება ბევრი რამ ითქვას გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის უმუშევართა ცხოვრების [illegible]

ძნელია გამოეთხოვო საყვარელ საქმეს და თავი ზედმეტ ადამიანად იგრძნო! აბა ერთი „გერმანული ტალღის" კომენტატორები ესაუბრონ ამაზე, მაგალითად, პროფესორ ტრაუბეს, მსოფლიოში სახელმოხვეჭილ რეაქტორების სპეციალისტს, რომელიც ამ წლინახევრის წინათ დაითხოვა ფირმა „სიმენსმა" კონტრდაზვერვის ყალბი „სიგნალის" გამო და დღემდე ვერ უშოვია ახალი სამუშაო.

რატომ არის, რომ „საღმოსავლეთო რედაქციას", რომელიც მთელ ამ სალაფავს ამზადებს, ერთხელაც არ გადმოუცია მართალი რეპორტაჟი გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში „გასტარბაიტერების", უცხოელი მუშების ცხოვრების პირობების, ვთქვათ, მათ შორის ყველაზე ბეჩავი, ასიათასობით თურქის შესახებ, რომლებიც ოპელისა თუ ფორდის კონვეიერთან დგანან? გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში მეტი წილი „გასტარბაიტერები", კიდეც რომ ჰქონდეთ სამუშაო, აქ ადამიანისათვის შეუფერებელ პირობებში ცხოვრობენ, ხოლო როცა სამუშაოს კარგავენ, ნამდვილი ხიზნები, მოკვეთილნი ხდებიან, დასავლეთგერმანელი სოციოლოგების მოდური გამოთქმით, „სუბპროლეტარებად" იქცევიან.

საკმარისი იქნებოდა თუნდაც ის, რომ მოგვეყვანა ციტატები სტატიებიდან, რომლებიც ამ თემაზე სოლიდურ დასავლეთგერმანულ გაზეთებში ქვეყნდება ხოლმე.

თუმცა, რას შეიძლება მოველოდეთ ანტისაბჭოელი ემიგრანტი ნაცირალებისაგან, რომლებიც [illegible]

ნ. პორტუგალოვი.
„იზვესტიის" საკუთარი კორ. ბონი.

# შევხვდეთ ხოლმე, რომ უკეთ გავიცნოთ ერთმანეთი

საქართველო მსოფლიოს მერიდიანზე

**ამ ცოტა ხნის წინათ ავსტრიაში დამთავრდა „საბჭოთა კავშირის დღეები", რომელშიც საქართველოს სს რესპუბლიკაც მონაწილეობდა. დიდი რეზონანსი გამოიწვია და პრესამაც ფართოდ გააშუქა ჩვენი რესპუბლიკის დელეგაციის წევრთა გამოსვლები „ავსტრია-სსრ კავშირის" საზოგადოების მუშების, ინტელიგენციის, აქტივისტების წინაშე, ქართველ ხელოვნების ოსტატთა კონცერტები, საქართველოს წარსულისა და აწმყოს ამსახველი გამოფენები, სახვითი ხელოვნების ნაწარმოებთა ექსპოზიციები.**

მიმდინარე წლის დამლევამდე „საბჭოთა კავშირის დღეების" ფარგლებში საქართველოს სსრ ასეთივე დღეები მოეწყობა ნორვეგიაში, შვეიცარიასა და გვინეაბისაუში.

**საქინფორმის კორესპონდენტმა სთხოვა საქართველოს საზღვარგარეთის ქვეყნებთან მეგობრობისა და კულტურული ურთიერთობის საზოგადოების თავმჯდომარეს გ. მელაძეს ეამბნა ამ დიდმნიშვნელოვან მოვლენებზე.**

ახლა, თქვა მან, ჩვენ აქტიურად ვემზადებით **ნორვეგიაში გასამგზავრებლად, სადაც 30 სექტემბრიდან 10 ოქტომბრამდე „საბჭოთა კავშირის დღეები" გაიმართება საქართველოს სსრ მონაწილეობით.** დღეების ორგანიზატორია საზღვარგარეთის ქვეყნებთან მეგობრობის საბჭოთა საზოგადოებების კავშირი და „ნორვეგია-სსრ კავშირის" საზოგადოება.

მომავალი თბილისის შეხვედრის ღონისძიებათა შესახებ წინასწარი მოლაპარაკებისათვის ნორვეგიიდან გვეწვია დელეგაცია „ნორვეგია-სსრ კავშირის" საზოგადოების თავმჯდომარის მოადგილის ოსლოუკ ანდერსენის მეთაურობით. ანდერსენი გაეცნო კოლექტივებს, რომლებიც ახლა ნორვეგიაში გასამგზავრებლად ემზადებიან და დიდი კმაყოფილება [illegible] ურთიერთგაგებას. ნორვეგიაში გაემგზავრება თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთა თვითმოქმედი ანსამბლი, რომელიც ამ ქვეყნის მოსახლეობას გააცნობს ქართული ხალხური საგუნდო და ქორეოგრაფიული ხელოვნების საუკეთესო ნიმუშებს, თანამედროვე ავტორების ნაწარმოებებს. მოეწყობა ფოტოგამოფენა „საბჭოთა საქართველო", რესპუბლიკაში გამოცემული წიგნების, ბავშვთა მხატვრული შემოქმედების, კვების მრეწველობის პროდუქციის გამოფენები. საინტერესოდ და ფართოდ იქნებიან წარმოდგენილი ქართული სახვითი ხელოვნების ოსტატები, რომლებიც საზოგადოებრიობის სამსჯავროს ასამდე ნამუშევარს წარუდგენენ. ამ გამოფენათა ექსპონატები, გარდა მხატვრული ნაწარმოებებისა, საჩუქრად გადაეცემა ნორვეგიელ ხალხს.

**28 ოქტომბერს საბჭოთა კავშირის დღეები იწყება შვეიცარიაში,** სადაც გამოვლენ ქართული ხელოვნების ოსტატები, წარმოდგენილი იქნება უკანასკნელი წლების ქართული ფილმები. ქართველ მხატვართა ნამუშევრების გამოფენაზე დამთვალიერებელნი 250-მდე სურათს ნახავენ. კულინარები ჟენევისა და მისი გარეუბნების მცხოვრებლებს გააცნობენ ქართული სამზარეულოს საიდუმლოებებს.

**ნოემბერში კი პირველად და ფართოდ გაეცნობა საქართველოს აფრიკის ერთ-ერთი ქვეყანა გვინეა-ბისაუ, სადაც გაემგზავრებიან ქართული ცირკის დასი და ფილარმონიის მსახიობები.**

საქართველოს, ქართველი ხალხის შესანიშნავი მიღწევების გაცნობა იმ ბურჟუაზიულ იდეოლოგთა უსაფუძვლო მონაჩმახების თვალსაჩინო უარყოფაა, რომლებიც ცდილობენ მსოფლიო საზოგადოებრიობის თვალში [illegible]

## ნაკადზეა აბრეშუმის ქსოვილები



„ციმბირისა და შორეული აღმოსავლეთის შეკვეთებს — მუშური გარანტია" ამ დევიზით მუშაობს თბილისის აბრეშუმის საწარმოო გაერთიანების კოლექტივი. მიმდინარე წლის დამდეგიდან შორეულ მეგობრებს გაუგზავნეს 800 ათას მეტრზე მეტი ნატურალური და ხელოვნური აბრეშუმის ქსოვილები. ისინი მიიღეს ამურის კომსომოლსკის, ნოვოსიბირსკის, ომსკის, ჩიტის, ტიუმენის, ხაბაროვსკის, ვლადივოსტოკის, ტომსკის, ირკუტსკის, კრასნოიარსკისა და სხვა ქალაქების მსუბუქი მრეწველობის საწარმოებმა და მაღაზიებმა.

სურათზე: მოწინავე მქსოველები მარინე ზანდუკელი და ქეთინო თვაური ამოწმებენ საპატიო ხუთკუთხედიანი ნატურალური აბრეშუმის ქსოვილების ხარისხს ციმბირისა და შორეული აღმოსავლეთის ქალაქებში მათი გაგზავნის წინ.

ვ. მორგუნოვის ფოტო. (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

ფეხბურთი

## ლიდერმა პოზიცია შეინარჩუნა

### ცსკა — „დინამო" (თბილისი) 1:2 (1:0)

უმაღლესი ლიგის გუნდების საკავშირო ჩემპიონატის ლიდერის — თბილისის „დინამოს" ავტორიტეტი ერთგვარად შელახა ივნისის თვეში არასტაბილურმა თამაშმა და თასისათვის ბრძოლიდან გამოთიშვამ. მაგრამ მაინც ველოდით ახალ აღმასვლითი ეტაპის დაწყებას. იმედის ეს ნაპერწკალი მოსკოვში გუშინდელ მატჩში არმიელებთან დინამოელთა მიერ მოპოვებულმა გამარჯვებამ გაგვიღვივა.

არმიელებთან შეხვედრა თბილისელებმა არც თუ გაუმართლებელი სიფრთხილით დაიწყეს, თანდათან საჩიფათო იერიშებიც განავითარეს, მაგრამ არმიელებმა შედარებით მალე შესძლეს ინიციატივის ხელში აღება: ორჯერ კარის ზედა ძელმა იხსნა თბილისელები, 21-ე წუთზე კი კოლპოვსკის მიერ ზუსტად დარტყმული ბურთი ველარც ძელმა და ველარც მეკარემ მოიგერია.

შესვენების შემდეგ დინამოელებმა უფრო ორგანიზებულად შეუტიეს მეტოქეს და მეორე ტაიმის დაწყებიდან მე-7 წუთზე გუცაევის კარგად ჩაწოდებულ ბურთს ყიფიანმა კარისაკენ მისცა მიმართულება: წონასწორობა აღსდგა — 1:1. ამის შემდეგაც შემართებით იბრძოლეს სტუმრებმა და მატჩის 77-ე წუთზე შენგელიამ ზუსტად გამოიყენა მეკარე ასტაპოვსკის, აგრეთვე მცველის ალექსანდროვის შეცდომები და გუნდი დააწინაურა — 2:1.

დინამოელებმა ასეთი შემადგენლობით ითამაშეს: გოგია, გ. მაჩაიძე, კანთელაძე, ხინჩაგაშვილი, მუჯირი, დარასელია, მ. მაჩაიძე, ქორიძე, გუცაევი, ყიფიანი, შენგელია.

გაფრთხილებულია მუჯირი.

დუბლიორთა შეხვედრაში გაიმარჯვეს არმიელებმა ანგარიშით 1:0.

ჯ. ენუქიძე.

### ოცდამეორე ტური

გაიმართა საქართველოს ჩემპიონატის ოცდამეორე ტურის მატჩები. შედეგები ასეთია:

„სპარტაკი" (თბილისი)-„იბერია" (ქარელი) — 5:0, „მზიური" (გალი)-„ეგრისი" (ცხაკაია) — 1:0, „ნადიკვარი" (თელავი)-„სალხინო" (ბეგეჭკორი) — 5:1, „კოლხეთი" (ხობი)-„მერცხალი" (მახარაძე) — 4:0, „კოლხეთი" (ფოთი)-„დურუჯი" (ყვარელი) — 2:0, „სქური" (წალენჯიხა)-„მეტალურგი" (ზესტაფონი) — 1:1, „სპარტაკი" (ცხინვალი)-პოლიტექნიკური ინსტიტუტი (თბილისი) — 2:1.

გათამაშებას 32 ქულით ლიდერობს ფოთის „კოლხეთი". მომდევნო ადგილზეა გალის „მზიური" — 31 ქულა.

ვ. შაადია.

### გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 28 ივნისისათვის

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „დინამო" (თ) | 13 | 8 | 3 | 2 | 16-10 | 19 |
| „ჩერნომორ." | 13 | 7 | 4 | 2 | 19-10 | 18 |
| „შახტიორი" | 12 | 8 | 1 | 3 | 16-9 | 17 |
| ცსკა | 13 | 7 | 2 | 4 | 16-13 | 16 |
| „დინამო" (კ) | 13 | 5 | 6 | 2 | 18-8 | 16 |
| „დინამო" (მ) | 12 | 5 | 4 | 3 | 16-11 | 14 |
| „ზენიტი" | 13 | 4 | 6 | 3 | 16-17 | 14 |
| „ტორპედო" | 13 | 4 | 5 | 4 | 15-12 | 13 |
| „კაირატი" | 13 | 4 | 4 | 5 | 12-16 | 12 |
| „პახტაკორი" | 13 | 4 | 3 | 6 | 19-18 | 11 |
| „ზარია" | 13 | 4 | 3 | 6 | 16-16 | 11 |
| „ნეფთჩი" | 13 | 4 | 3 | 6 | 11-14 | 11 |
| „ლოკომოტ." | 13 | 3 | 5 | 5 | 12-17 | 11 |
| „სპარტაკი" | 13 | 3 | 2 | 8 | 13-22 | 8 |
| „არარატი" | 13 | 3 | 2 | 8 | 6-20 | 8 |
| „დნეპრი" | 13 | 2 | 1 | 10 | 9-21 | 5 |

ჩოგბურთი

## თბილისელთა უპირატესობით

თბილისში დამთავრდა საქართველოს პირად-გუნდური ჩემპიონატი. გუნდური გამარჯვება მოიპოვა თბილისის ნაკრებმა. მეორე ადგილზე გამოვიდნენ აჭარის, ხოლო მესამეზე აფხაზეთის სპორტსმენები. პირად ასპარეზობაში ჩემპიონები გახდნენ თბილისელები: ა. ივანოვა (ქალთა ერთეულები), ვ. ბაკში (ვაჟთა ერთეულები), ა. ივანოვა-ნ. თუხარელი (ქალთა წყვილები), ვ. ბაკში-ვ. გუნჩინი (ვაჟთა წყვილები), მ. ელერდაშვილი-ვ. ოსიპოვი (შერეული წყვილები).

## რეკორდით დაიწყო

ჩოგბურთელთა უიმბლდონის ტურნირის პირველი დღე თავისებური რეკორდით დაიწყო: ჯერ კიდევ 1974 წლის გათამაშების სტარტზე ყველაზე მეტი მაყურებელი დაესწრო — 24.816, ამჯერად კი დასწრება სარეკორდო გახლდათ — 29986.

პირველ წრეში უიმბლდონის ტურნირის ორგზის გამარჯვებული ბიორნ ბორგი (შვეცია) შეხვდა 2 მეტრი სიმაღლის გიგანტს ვიქტორ ამაიას (აშშ). ისიც ითქვა, რომ ამერიკელი 100 კგ-ს იწონის. მატჩი გაგრძელდა 2,5 საათს და საბოლოოდ გამარჯვება ბორგმა მოიპოვა — 8:9, 6:1, 1:6, 6:3, 6:3. ბორგმა, რომელმაც ახლახან იტალიისა და საფრანგეთის ღია ჩემპიონატები მოიგო, თქვა: „მედლის წაგების ყველაზე დიდი შანსი მქონდაო." როგორც ხედავთ, ბორგი გადარჩა. ძისმა ძველმა მეტოქემ ჯიმი კონორსმა (აშშ) კი მოუგო შეხვედრა ახალზელანდიელ რასელ სიმპსონს — 7:5, 9:8, 6:1. ამჯერად საბჭოთა ჩოგბურთელები ამ შეჯიბრებაში არ მონაწილეობენ.

## სპორტი

## ჩემპიონატის ექო

ფეხბურთელთა მსოფლიო ჩემპიონატებზე, ჩვეულებრივ, არ არსებობს ერთიანი კლასიფიკაცია იმ თორმეტი გუნდისათვის რომლებიც უძლიერესთა ოთხეულის მიღმა რჩებიან. არაოფიციალურად დანარჩენ 12 გუნდს ადგილებს მიუჩენენ ხოლმე დაგროვილი ქულებისა და ბურთების სხვაობის მიხედვით. ასეთი კლასიფიკაციით წლევანდელ მსოფლიო ჩემპიონატში გუნდები ასეთი თანმიმდევრობით განლაგდნენ: V. გფრ, VI. ავსტრია, VII. პოლონეთი, VIII. პერუ, IX. შოტლანდია, X. ტუნისი, XI. ესპანეთი, XII. საფრანგეთი, XIII. შვეცია, XIV. ირანი, XV. უნგრეთი, XVI. მექსიკა.

## — მოკლედ

ხელბურთი. მოსკოვის „კუნცევოს" ხელბურთელ ვაჟთა გუნდმა თავისი ტურნე ესპანეთში წარუმატებლად დაიწყო. მან მადრიდის „რეალთან" შეხვედრა წააგო ანგარიშით 28:34.

ველოსპორტი. „იუგოსლავიის ტურის" მრავალდღიან ველორბოლაში ოთხი ეტაპის შემდეგ პირად ჩათვლაში ლიდერობს საბჭოთა სპორტსმენი აავო პიკუუსი. გუნდურ ჩათვლაშიც საბჭოთა ნაკრებია დაწინაურებული.

რედაქტორი
დ. მჭედლიშვილი.

### ტელევიზია

**28 ივნისი**

პირველი პროგრამით

09.00 — „ვრემია" — საინფორმაციო პროგრამა (მოსკოვიდან), 17.30 — უმაღლეს სასწავლებელში შემსვლელთათვის — მათემატიკა, 18.00 — განცხადებები, 18.05 — შევისწავლოთ გერმანული ენა, 18.35 — მოსწავლეთათვის — „საცირკო სანახაობა", 19.30 — „შრომა და დასვენება" — სატელევიზიო პროფკავშირული ჟურნალი, 20.30 — „მოამბე" — საინფორმაციო პროგრამა (ფერადი), 21.00 — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „მაისში რაინზე"... ამხანაგ ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევის ვიზიტი გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში. პრემიერა (მოსკოვიდან), 22.00 — „ვრემია" — საინფორმაციო პროგრამა (მოსკოვიდან), 22.45 — საარბრიუკენის სახელმწიფო კაპელას კონცერტი (ფერადი).

მეორე პროგრამით

18.00 — მოსწავლეთათვის — მათემატიკა, 18.45 — კინოჟურნალი, 18.55 — განცხადებები, 19.00 — სტუდენტთათვის — მასალათა გამძლეობა, 19.45 — თოჯინური სპექტაკლი „განგალა", 20.40 — დოკუმენტური ფილმი „ვახტანგოვი".

### თეატრი

**28 ივნისი**

ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური — მედეა (პრემიერა); რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიური — შუშანიკის მარტვილობა (პრემიერა); აბაშიძის სახელობის მუსიკალური კომედიის — არშინ მალ-ალან; რუსთავის სახელმწიფო დრამატული თეატრი (გრიბოედოვის თეატრის შენობა) — ცილინდრი.

ა. წ. 3 ივლისს დღის 10 საათზე გაიმართება საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამოყენებითი მექანიკისა და მართვის პროცესების განყოფილების სხდომა, რომელზეც საჯაროდ იქნება განხილული გამოჩენილი ქართველი მეცნიერის გიორგი ნიკოლაძის სახელობის პრემიის მოსაპოვებლად 1978 წელს წარმოდგენილი სამეცნიერო შრომები.

დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მონაწილეობა მიიღონ განხილვაში.

სხდომა გაიმართება მეცნიერებათა აკადემიის შენობაში (ძერჟინსკის ქ. № 8, III სართული, პრეზიდიუმის სხდომათა დარბაზი).

საქართველოს საზოგადოება „ცოდნისა" და თბილისის საქალაქო ორგანიზაციის გამგეობები ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ 1978 წლის 24 ივნისს 78 წლისა გარდაიცვალა ცნობილი მხედართმთავარი, სამოქალაქო და დიდი სამამულო ომების აქტიური მონაწილე, სკკპ წევრი 1918 წლიდან, გადამდგარი გენერალ-მაიორი, „ცოდნის" გამგეობასთან არსებული სამხედრო ცოდნისა და სამხედრო-პატრიოტული აღზრდის სამეცნიერო-მეთოდიკური საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე

გიორგი გაბრიელის ძე ჟურაშვილი

და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

## ოფიციალური ცხრილი

**საქართველოს სსრ ფულისა და ნივთების 1978 წლის მეექვსე გამოშვების ლატარიის მოგებათა ტირაჟი გაიმართა 1978 წლის 25 ივნისს ქალაქ ონში, ტირაჟში გათამაშდა 288.000 მანეთი საერთო თანხის 91 ნივთმოგება და 159.909 ფულადი მოგება. მოგება ხვდა ლატარიის სერიებისა და ბილეთების შემდეგ ნომრებს:**

| სერიის № | ბილეთის № | მოგებული ნივთის დასახელება ან ფულადი მოგების ოდენობა | მოგებული ნივთის ფულადი ღირებულება |
|---|---|---|---|
| 16003 | 344 *) | 125 მანეთი | — |
| 16011 | 086 *) | 30 მანეთი | — |
| 16030 | 254 *) | ტრანზისტორი | 99 — 00 |
| 16035 | 355 *) | მაცივარი | 275 — 00 |
| 16070 | 1 — 500 | 10 მანეთი | — |
| 16074 | 422 *) | 300 მანეთი | — |
| 16076 | 213 *) | 50 მანეთი | — |
| 16079 | 451 *) | 20 მანეთი | — |
| 16085 | 034 *) | 20 მანეთი | — |
| 16098 | 500 *) | 50 მანეთი | — |
| 16102 | 122 *) | მაცივარი | 275 — 00 |
| 16105 | 188 *) | 20 მანეთი | — |
| 16113 | 1 — 500 | 15 მანეთი | — |
| 16115 | 468 *) | 50 მანეთი | — |
| 16116 | 307 *) | 25 მანეთი | — |
| 16127 | 105 *) | 25 მანეთი | — |
| 16130 | 437 *) | საგზური ტურისტული მატარებლით „საქართველოთი" საბჭოთა კავშირის ქალაქებში სამოგზაუროდ | 165 — 00 |
| 16137 | 324 *) | 25 მანეთი | — |
| 16145 | 210 *) | მაგნიტოფონი | 220 — 00 |
| 16148 | 190 *) | ავტომანქანა „მოსკვიჩი-2140" | 6830 — 00 |
| 16180 | 141 *) | 50 მანეთი | — |
| 16190 | 141 *) | მაგნიტოფონი | 220 — 00 |
| 16202 | 229 *) | 125 მანეთი | — |
| 16235 | 245 *) | 20 მანეთი | — |
| 16236 | 024 *) | 30 მანეთი | — |
| 16243 | 015 *) | 25 მანეთი | — |
| 16267 | 174 *) | 50 მანეთი | — |
| 16281 | 088 *) | 30 მანეთი | — |
| 16295 | 210 *) | მაცივარი | 275 — 00 |
| 16297 | 373 *) | 30 მანეთი | — |
| 16298 | 028 *) | 20 მანეთი | — |
| 16320 | 004 *) | 100 მანეთი | — |
| 16337 | 100 *) | 25 მანეთი | — |
| 16338 | 080 *) | მაცივარი | 275 — 00 |
| 16355 | 031 *) | 100 მანეთი | — |
| 16360 | 119 *) | მაცივარი | 275 — 00 |
| 16365 | 367 *) | 25 მანეთი | — |
| 16379 | 047 *) | 30 მანეთი | — |
| 16382 | 081 *) | 100 მანეთი | — |
| 16383 | 105 *) | მაცივარი | 275 — 00 |
| 16384 | 157 *) | მაგნიტოფონი | 220 — 00 |
| 16398 | 067 *) | 20 მანეთი | — |
| 16400 | 303 *) | მაცივარი | 275 — 00 |
| 16402 | 185 *) | 25 მანეთი | — |
| 16414 | 140 *) | 25 მანეთი | — |
| 16424 | 062 *) | ავტომანქანა „ჟიგული-21011" | 6030 — 00 |
| 16425 | 214 *) | საგზური ტურისტული მატარებლით „საქართველოთი" საბჭოთა კავშირის ქალაქებში სამოგზაუროდ | 165 — 00 |
| 16427 | 205 *) | 20 მანეთი | — |
| 16467 | 055 *) | 250 მანეთი | — |
| 16479 | 464 *) | 30 მანეთი | — |
| 16492 | 471 *) | 25 მანეთი | — |
| 16496 | 325 *) | ავტომანქანა „ზაპოროჟეცი" | 3750 — 00 |
| 16501 | 033 *) | 25 მანეთი | — |
| 16507 | 463 *) | 500 მანეთი | — |
| 16511 | 120 *) | მაცივარი | 275 — 00 |
| 16512 | 499 *) | ავტომანქანა „ჟიგული-21011" | 6030 — 00 |
| 16545 | 151 *) | 25 მანეთი | — |
| 16547 | 355 *) | 50 მანეთი | — |
| 16551 | 166 *) | 30 მანეთი | — |
| 16576 | 430 *) | ტრანზისტორი | 99 — 00 |
| 16582 | 461 *) | მაგნიტოფონი | 220 — 00 |
| 16612 | 104 *) | ტრანზისტორი | 99 — 00 |
| 16627 | 461 *) | 20 მანეთი | — |
| 16631 | 098 *) | მაცივარი | 275 — 00 |
| 16632 | 099 *) | მაცივარი | 275 — 00 |
| 16645 | 427 *) | 20 მანეთი | — |
| 16653 | 240 *) | 100 მანეთი | — |
| 16659 | 123 *) | საგზური ტურისტული მატარებლით „საქართველოთი" საბჭოთა კავშირის ქალაქებში სამოგზაუროდ | 165 — 00 |
| 16671 | 196 *) | საგზური ტურისტული მატარებლით „საქართველოთი" საბჭოთა კავშირის ქალაქებში სამოგზაუროდ | 165 — 00 |
| 16689 | 275 *) | 50 მანეთი | — |
| 16709 | 462 *) | ტრანზისტორი | 99 — 00 |
| 16739 | 444 *) | მაგნიტოფონი | 220 — 00 |
| 16740 | 053 *) | 100 მანეთი | — |
| 16768 | 363 *) | 30 მანეთი | — |
| 16800 | 391 *) | 50 მანეთი | — |

| სერიის № | ბილეთის № | მოგებული ნივთის დასახელება ან ფულადი მოგების ოდენობა | მოგებული ნივთის ფულადი ღირებულება |
|---|---|---|---|
| 16810 | 432 *) | 20 მანეთი | — |
| 16816 | 373 *) | 20 მანეთი | — |
| 16818 | 187 *) | 25 მანეთი | — |
| 16823 | 019 *) | 125 მანეთი | — |
| 16827 | 400 *) | მაგნიტოფონი | 220 — 00 |
| 16835 | 485 *) | 125 მანეთი | — |
| 16845 | 211 *) | 100 მანეთი | — |
| 16849 | 322 *) | 20 მანეთი | — |
| 16877 | 044 *) | 50 მანეთი | — |
| 16878 | 037 *) | 50 მანეთი | — |
| 16891 | 246 *) | 50 მანეთი | — |
| 16899 | 339 *) | 1000 მანეთი | — |
| 16913 | 457 *) | 50 მანეთი | — |
| 16931 | 075 *) | 100 მანეთი | — |
| 16943 | 160 *) | 30 მანეთი | — |
| 16944 | 048 *) | 50 მანეთი | — |
| 16948 | 216 *) | 30 მანეთი | — |
| 16957 | 156 *) | 50 მანეთი | — |
| 16964 | 027 *) | ავტომანქანა „ზაპოროჟეცი" | 3750 — 00 |
| 17019 | 438 *) | 30 მანეთი | — |
| 17020 | 307 *) | 100 მანეთი | — |
| 17025 | 459 *) | 30 მანეთი | — |
| 17030 | 096 *) | 200 მანეთი | — |
| 17045 | 368 *) | 20 მანეთი | — |
| 17049 | 006 *) | 25 მანეთი | — |
| 17053 | 080 *) | 100 მანეთი | — |
| 17055 | 192 *) | ტრანზისტორი | 99 — 00 |
| 17073 | 047 *) | ავტომანქანა „ზაპოროჟეცი" | 3750 — 00 |
| 17075 | 468 *) | 30 მანეთი | — |
| 17104 | 229 *) | 125 მანეთი | — |
| 17107 | 290 *) | ტრანზისტორი | 99 — 00 |
| 17121 | 199 *) | 30 მანეთი | — |
| 17122 | 016 *) | 250 მანეთი | — |
| 17135 | 218 *) | 200 მანეთი | — |
| 17140 | 211 *) | 30 მანეთი | — |
| 17141 | 144 *) | საგზური ტურისტული მატარებლით „საქართველოთი" საბჭოთა კავშირის ქალაქებში სამოგზაუროდ | 165 — 00 |
| 17150 | 352 *) | 20 მანეთი | — |
| 17153 | 239 *) | ავტომანქანა „ჟიგული-2101" | 5500 — 00 |
| 17158 | 349 *) | 25 მანეთი | — |
| 17164 | 028 *) | 25 მანეთი | — |
| 17174 | 319 *) | 200 მანეთი | — |
| 17194 | 225 *) | 25 მანეთი | — |
| 17201 | 343 *) | 100 მანეთი | — |
| 17219 | 482 *) | ტრანზისტორი | 99 — 00 |
| 17223 | 271 *) | 20 მანეთი | — |
| 17230 | 103 *) | 50 მანეთი | — |
| 17252 | 177 *) | 200 მანეთი | — |
| 17269 | 047 *) | 25 მანეთი | — |
| 17272 | 129 *) | 25 მანეთი | — |
| 17281 | 310 *) | 50 მანეთი | — |
| 17293 | 013 *) | 30 მანეთი | — |
| 17299 | 277 *) | მაცივარი | 275 — 00 |
| 17311 | 127 *) | 30 მანეთი | — |
| 17316 | 380 *) | 100 მანეთი | — |
| 17318 | 101 *) | 25 მანეთი | — |
| 17321 | 321 *) | 200 მანეთი | — |
| 17328 | 086 *) | 25 მანეთი | — |
| 17335 | 416 *) | 50 მანეთი | — |
| 17343 | 380 *) | 50 მანეთი | — |
| 17345 | 303 *) | ტრანზისტორი | 99 — 00 |
| 17367 | 279 *) | 100 მანეთი | — |
| 17375 | 400 *) | ავტომანქანა „ზაპოროჟეცი" | 3750 — 00 |
| 17389 | 269 *) | 20 მანეთი | — |
| 17395 | 390 *) | 100 მანეთი | — |
| 17405 | 237 *) | 30 მანეთი | — |
| 17409 | 440 *) | მაცივარი | 275 — 00 |
| 17413 | 421 *) | მაგნიტოფონი | 220 — 00 |
| 17416 | 198 *) | მაცივარი | 275 — 00 |
| 17431 | 340 *) | 20 მანეთი | — |
| 17438 | 121 *) | 20 მანეთი | — |
| 17451 | 419 *) | 25 მანეთი | — |
| 17471 | 190 *) | მაცივარი | 275 — 00 |
| 17484 | 128 *) | 25 მანეთი | — |
| 17488 | 054 *) | 25 მანეთი | — |
| 17491 | 344 *) | 25 მანეთი | — |
| 17498 | 257 *) | 100 მანეთი | — |
| 17508 | 086 *) | 30 მანეთი | — |
| 17518 | 237 *) | 100 მანეთი | — |
| 17531 | 450 *) | 50 მანეთი | — |
| 17537 | 326 *) | 100 მანეთი | — |
| 17540 | 355 *) | 30 მანეთი | — |
| 17551 | 464 *) | მაგნიტოფონი | 220 — 00 |
| 17558 | 476 *) | ავტომანქანა „ზაპოროჟეცი" | 3750 — 00 |

| სერიის № | ბილეთის № | მოგებული ნივთის დასახელება ან ფულადი მოგების ოდენობა | მოგებული ნივთის ფულადი ღირებულება |
|---|---|---|---|
| 17570 | 207 *) | საგზური ტურისტული მატარებლით „საქართველოთი" საბჭოთა კავშირის ქალაქებში სამოგზაუროდ | 165 — 00 |
| 17584 | 441 *) | 25 მანეთი | — |
| 17586 | 247 *) | 50 მანეთი | — |
| 17596 | 432 *) | ტრანზისტორი | 99 — 00 |
| 17601 | 270 *) | პიანინო | 650 — 00 |
| 17605 | 444 *) | 300 მანეთი | — |
| 17607 | 277 *) | 300 მანეთი | — |
| 17624 | 134 *) | 20 მანეთი | — |
| 17632 | 459 *) | პიანინო | 650 — 00 |
| 17638 | 035 *) | 20 მანეთი | — |
| 17640 | 321 *) | 25 მანეთი | — |
| 17649 | 023 *) | ტრანზისტორი | 99 — 00 |
| 17661 | 154 *) | მაცივარი | 275 — 00 |
| 17663 | 405 *) | მაგნიტოფონი | 220 — 00 |
| 17688 | 461 *) | 30 მანეთი | — |
| 17690 | 428 *) | 200 მანეთი | — |
| 17711 | 299 *) | მაცივარი | 275 — 0 |
| 17713 | 296 *) | 100 მანეთი | — |
| 17721 | 401 *) | ტრანზისტორი | 99 — 00 |
| 17723 | 450 *) | 250 მანეთი | — |
| 17727 | 365 *) | 200 მანეთი | — |
| 17749 | 136 *) | 50 მანეთი | — |
| 17755 | 227 *) | ტრანზისტორი | 99 — 00 |
| 17766 | 457 *) | 30 მანეთი | — |
| 17785 | 397 *) | 25 მანეთი | — |
| 17803 | 125 *) | 100 მანეთი | — |
| 17844 | 464 *) | 25 მანეთი | — |
| 17849 | 066 *) | მაცივარი | 275 — 00 |
| 17852 | 075 *) | 20 მანეთი | — |
| 17866 | 114 *) | მაცივარი | 275 — 00 |
| 17878 | 399 *) | 50 მანეთი | — |
| 17904 | 392 *) | ტრანზისტორი | 99 — 00 |
| 17919 | 024 *) | 25 მანეთი | — |
| 17920 | 412 *) | 50 მანეთი | — |
| 17926 | 302 *) | 250 მანეთი | — |
| 17935 | 110 *) | 100 მანეთი | — |
| 17953 | 422 *) | 30 მანეთი | — |
| 17959 | 334 *) | მაცივარი | 275 — 00 |
| 17978 | 135 *) | 20 მანეთი | — |
| 17992 | 078 *) | 50 მანეთი | — |
| 18002 | 1 — 500 | 10 მანეთი | — |
| 18008 | 330 *) | 20 მანეთი | — |
| 18021 | 235 *) | 30 მანეთი | — |
| 18024 | 239 *) | მაგნიტოფონი | 220 — 00 |
| 18033 | 468 *) | 20 მანეთი | — |
| 18043 | 1 — 500 | 15 მანეთი | — |
| 18054 | 425 *) | 500 მანეთი | — |
| 18081 | 435 *) | 20 მანეთი | — |
| 18091 | 200 *) | 50 მანეთი | — |
| 18109 | 416 *) | ავტომანქანა „ზაპოროჟეცი" | 3750 — 00 |
| 18116 | 386 *) | 100 მანეთი | — |
| 18119 | 191 *) | 100 მანეთი | — |
| 18132 | 431 *) | 30 მანეთი | — |
| 18146 | 259 *) | საგზური ტურისტული მატარებლით „საქართველოთი" საბჭოთა კავშირის ქალაქებში სამოგზაუროდ | 165 — 00 |

| სერიის № | ბილეთის № | მოგებული ნივთის დასახელება ან ფულადი მოგების ოდენობა | მოგებული ნივთის ფულადი ღირებულება |
|---|---|---|---|
| 18170 | 426 *) | 125 მანეთი | — |
| 18180 | 359 *) | ავტომანქანა „ზაპოროჟეცი" | 3750 — 00 |
| 18184 | 436 *) | 30 მანეთი | — |
| 18186 | 349 *) | 1000 მანეთი | — |
| 18187 | 163 *) | 100 მანეთი | — |
| 18198 | 096 *) | 20 მანეთი | — |
| 18204 | 156 *) | 20 მანეთი | — |
| 18221 | 210 *) | მაგნიტოფონი | 220 — 00 |
| 18222 | 477 *) | ავტომანქანა „ჟიგული-2101" | 5500 — 00 |
| 18241 | 169 *) | 20 მანეთი | — |
| 18248 | 426 *) | მაცივარი | 275 — 00 |
| 18250 | 374 *) | 100 მანეთი | — |
| 18263 | 287 *) | 100 მანეთი | — |
| 18278 | 124 *) | მაცივარი | 275 — 00 |
| 18284 | 077 *) | 25 მანეთი | — |
| 18295 | 235 *) | მაცივარი | 275 — 00 |
| 18316 | 162 *) | მაცივარი | 275 — 00 |
| 18319 | 390 *) | 250 მანეთი | — |
| 18331 | 188 *) | 50 მანეთი | — |
| 18354 | 198 *) | 125 მანეთი | — |
| 18366 | 042 *) | 100 მანეთი | — |
| 18410 | 230 *) | 100 მანეთი | — |
| 18420 | 498 *) | 25 მანეთი | — |
| 18424 | 474 *) | საგზური ტურისტული მატარებლით „საქართველოთი" საბჭოთა კავშირის ქალაქებში სამოგზაუროდ | 165 — 00 |
| 18429 | 160 *) | მაგნიტოფონი | 220 — 00 |
| 18437 | 316 *) | 20 მანეთი | — |
| 18439 | 354 *) | მაცივარი | 275 — 00 |
| 18445 | 323 *) | 50 მანეთი | — |
| 18446 | 455 *) | 25 მანეთი | — |
| 18452 | 405 *) | 25 მანეთი | — |
| 18471 | 027 *) | 20 მანეთი | — |
| 18491 | 271 *) | 25 მანეთი | — |
| 18492 | 357 *) | 20 მანეთი | — |
| 18494 | 088 *) | 20 მანეთი | — |
| 18496 | 083 *) | 25 მანეთი | — |
| 18499 | 303 *) | ტრანზისტორი | 99 — 00 |
| 18519 | 090 *) | 100 მანეთი | — |
| 18525 | 349 *) | 100 მანეთი | — |
| 18539 | 236 *) | ტრანზისტორი | 99 — 00 |
| 18549 | 239 *) | 30 მანეთი | — |
| 18553 | 484 *) | საგზური ტურისტული მატარებლით „საქართველოთი" საბჭოთა კავშირის ქალაქებში სამოგზაუროდ | 165 — 00 |
| 18571 | 361 *) | 25 მანეთი | — |
| 18573 | 269 *) | ავტომანქანა „ზაპოროჟეცი" | 3750 — 00 |
| 18584 | 008 *) | 30 მანეთი | — |
| 18590 | 066 *) | 100 მანეთი | — |
| 18594 | 277 *) | ტრანზისტორი | 99 — 00 |
| 18647 | 042 *) | 50 მანეთი | — |
| 18659 | 477 *) | 125 მანეთი | — |
| 18671 | 045 *) | ტრანზისტორი | 99 — 00 |
| 18687 | 058 *) | მაცივარი | 275 — 00 |
| 18697 | 009 *) | 20 მანეთი | — |
| 18699 | 047 *) | 500 მანეთი | — |

| სერიის № | ბილეთის № | მოგებული ნივთის დასახელება ან ფულადი მოგების ოდენობა | მოგებული ნივთის ფულადი ღირებულება |
|---|---|---|---|
| 18702 | 489 *) | 100 მანეთი | — |
| 18703 | 111 *) | ავტომანქანა „ზაპოროჟეცი" | 3750 — 00 |
| 18745 | 135 *) | მაცივარი | 275 — 00 |
| 18751 | 064 *) | მაცივარი | 275 — 00 |
| 18765 | 175 *) | 200 მანეთი | — |
| 18778 | 500 *) | 50 მანეთი | — |
| 18779 | 399 *) | საგზური ტურისტული მატარებლით „საქართველოთი" საბჭოთა კავშირის ქალაქებში სამოგზაუროდ | 165 — 00 |
| 18783 | 046 *) | 25 მანეთი | — |
| 18794 | 297 *) | ტრანზისტორი | 99 — 00 |
| 18796 | 404 *) | 200 მანეთი | — |
| 18806 | 226 *) | 50 მანეთი | — |
| 18811 | 232 *) | მაგნიტოფონი | 220 — 00 |
| 18812 | 110 *) | 50 მანეთი | — |
| 18819 | 247 *) | 20 მანეთი | — |
| 18822 | 360 *) | 20 მანეთი | — |
| 18838 | 374 *) | 20 მანეთი | — |
| 18848 | 208 *) | 50 მანეთი | — |
| 18857 | 411 *) | 100 მანეთი | — |
| 18861 | 362 *) | მაცივარი | 275 — 00 |
| 18870 | 387 *) | 30 მანეთი | — |
| 18871 | 454 *) | მაგნიტოფონი | 220 — 00 |
| 18889 | 224 *) | 200 მანეთი | — |
| 18916 | 413 *) | 50 მანეთი | — |
| 18921 | 431 *) | 300 მანეთი | — |
| 18939 | 054 *) | 20 მანეთი | — |
| 18944 | 184 *) | 30 მანეთი | — |
| 18951 | 350 *) | 30 მანეთი | — |
| 18953 | 107 *) | მაცივარი | 275 — 00 |
| 18965 | 424 *) | 50 მანეთი | — |
| 18977 | 090 *) | 20 მანეთი | — |
| 18980 | 006 *) | 25 მანეთი | — |
| 18986 | 153 *) | 200 მანეთი | — |
| 18997 | 100 *) | 30 მანეთი | — |
| 18999 | 228 *) | ავტომანქანა „მოსკვიჩი-2140" | 6830 — 00 |
| 19003 | 418 *) | 25 მანეთი | — |
| 19008 | 129 *) | 20 მანეთი | — |
| 19009 | 373 *) | 30 მანეთი | — |
| 19020 | 072 *) | პიანინო | 650 — 00 |
| 19021 | 189 *) | 100 მანეთი | — |
| 19034 | 239 *) | 30 მანეთი | — |
| 19041 | 269 *) | 50 მანეთი | — |
| 19069 | 191 *) | 25 მანეთი | — |
| 19075 | 179 *) | 30 მანეთი | — |
| 19088 | 239 *) | მაცივარი | 275 — 00 |
| 19142 | 201 *) | 200 მანეთი | — |
| 19144 | 419 *) | 100 მანეთი | — |
| 19146 | 206 *) | 25 მანეთი | — |
| 19147 | 400 *) | 30 მანეთი | — |
| 19148 | 203 *) | 25 მანეთი | — |
| 19155 | 344 *) | 20 მანეთი | — |
| 19174 | 496 *) | 30 მანეთი | — |
| 19178 | 203 *) | 25 მანეთი | — |
| 19188 | 058 *) | ტრანზისტორი | 99 — 00 |
| 19194 | 243 *) | 500 მანეთი | — |
| 19200 | 210 *) | 20 მანეთი | — |

შენიშვნა: ლატარიის ამ სერიის ბილეთების დანარჩენ 499 ნომერს ხვდა 1 მანეთი მოგება თითოეულს.

თუ სვეტში — „ბილეთის №" — აღნიშნულია 1-500, ეს ნიშნავს, რომ ერთნაირი მოგება ხვდა ლატარიის ბილეთების მოცემული სერიის ხუთასსავე ნომერს.

ეს ცხრილი ოფიციალური დოკუმენტია, რომლის მიხედვით ნივთმოგებანი და ფულადი მოგებანი გაიცემა გაზეთის მორიგი ნომრის ადგილზე მიღების შემდეგ

## მოგებათა მიღების წესი

1. ლატარიის ბილეთის მფლობელს, რომელსაც ნივთმოგება ხვდა, თავისი სურვილისამებრ შეუძლია მოგებული ნივთის ღირებულება ნაღდ ფულად მიიღოს.

ლატარიის ბილეთის ფულად მოგებათა გაცემას, ხოლო მიმღებთა სურვილისამებრ 50 მანეთამდე (ჩათვლით) ღირებულებას მოგებული ნივთის ნაცვლად, აგრეთვე ფულის გაცემას აწარმოებს საქართველოს ყველა შემნახველი სალარო. 50 მანეთზე მეტ მოგებათა თანხებს გასცემენ ცენტრალური შემნახველი სალაროები და პირველი თანრიგის შემნახველი სალაროები.

2. მოგებულ ნივთებს ლატარიის ბილეთების მფლობელთ აძლევენ ან უგზავნიან მხოლოდ ქ. თბილისის მაღაზიები.

მოგებახვედრილი ლატარიის ბილეთებით ყველა მარკის ავტომანქანების გაცემა წარმოებს მხოლოდ ქ. თბილისში, მოგებული ნივთების მისაღებად ლატარიის ბილეთები უნდა წარუდგინოს შემნახველ სალაროებს.

ლატარიის ბილეთები იმ მოგებებით, რომლებიც ქ. თბილისის მაღაზიების მეშვეობით უნდა გაიგზავნოს, წარედგინება ცენტრალურ შემნახველ სალაროებს, ან პირველი თანრიგის შემნახველ სალაროებს, ამასთან ლატარიის ბილეთის ... უახლოესი სადგურის სახელწოდება, რომელიც სატვირთო სიჩქარის ოპერაციებს აწარმოებს.

3. მოგებულ ნივთებს მაღაზიები გასცემენ მას შემდეგ, რაც ლატარიის ბილეთი, რომელსაც მოგება ხვდა, შემოწმდება შემნახველ სალაროში.

4. იმ შემთხვევაში თუ ლატარიაში გათამაშებულ ცალკეულ საგნებს წარმოება აღარ უშვებს, საგნის ღირებულება მოგებახვედრილი ლატარიის ბილეთის მფლობელს ნაღდ ფულად მიეცემა.

5. ლატარიის ბილეთები, რომლებსაც მოგება ხვდა, შეგიძლიათ წარადგინოთ განაღდებლად ან მოგებული ნივთის მისაღებად 1979 წლის 30 ივნისამდე (ჩათვლით). ამ ვადის გასვლის შემდეგ ლატარიის ბილეთი ძალას კარგავს და განაღდებლად აღარ მიიღება.

შენიშვნა: სხვა მოკავშირე რესპუბლიკაში მოწყობილი ფულისა და ნივთების ლატარიის ბილეთების მფლობელთ შეუძლიათ თავიანთი ბილეთები შეამოწმონ მოგებათა ცხრილებით და მიიღონ ფულადი მოგება ან ფული მოგებული ნივთის ნაცვლად ქ. თბილისის პირველი მაისის რაიონის, აგრეთვე ქალაქების სოხუმის, ბათუმის, ცხინვალის, რუსთავის, ქუთაისის, ზუგდიდის, ფოთის, წყალტუბოს და გაგრის ცენტრალურ შემნახველ სალაროებში.

აღნიშნული ცენტრალური შემნახველი სალაროები მოგებული ნივთის გამოსათხოვად მიიღებენ აგრეთვე ლატარიის ბილეთებს, რომლებსაც მოგება ხვდა.

ლატარიის ბილეთების შემოწმება შეიძლება აგრეთვე ქ. თბილისის ყველა ცენტრალურ შემნახველ სალაროსა და სხვა დიდი ქალაქების ცენტრალურ შემნახველ სალაროებში.

კომისიის თავმჯდომარე — ონის სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე — დ. პ. მეტრეველი.

თავმჯდომარის მოადგილე — საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტროს წარმომადგენელი — თ. ვ. დვალი.

პასუხისმგებელი მდივანი — ...

კომუნისტი
ჩვენი მისამართი და ტელეფონები
КОМУНИСТИ ИНДЕКС 60443